2011 წელი, 31 მარტი – 6 აპრილი

ფასი 1 ლარი

# ახალი განათლება

№13 (527) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


# პუბლიკაციები, რომლებსაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები დიდი ხანია ელოდნენ

„სკოლამდელი განათლების ინიციატივების მხარდამჭერი პროექტის“ ფარგლებში, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის ოთხი მნიშვნელოვანი დოკუმენტი მოამზადა: „საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო“, „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა“, „სკოლამდელი განათლების პროგრამა“, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის გზამკვლევი“. პუბლიკაციების მომზადებაში, ცენტრის ექსპერტებთან ერთად, ჩართული იყვნენ: ფსიქოლოგები, პრაქტიკოსი პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დირექტორები, სხვადასხვა დარგის (ხელოვნება, მუსიკა, ფიზაღზრდა და სხვ.) სპეციალისტები.

ახალი პუბლიკაციები დაეხმარება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად დაგეგმვაში, ასევე აღსაზრდელთა სათანადოდ მომზადებაში, რომ სკოლაში მისულ პირველკლასელს არ გაუჭირდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.




პროექტის ფარგლებში მომზადებული ოთხივე დოკუმენტი უსასყიდლოდ გადაეცემა, საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო ბაღს.

გვესაუბრება „სკოლამდელი განათლების ინიციატივების მხარდამჭერი პროექტის“ ხელმძღვანელი **ანა ჯანელიძე:**

სკოლამდელი განათლების სფეროს მუშაკები დიდი ხანია ელოდნენ ამ დოკუმენტებს. ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, „საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელოა“, რომელიც დაეხმარება აღმზრდელებს უკეთ გააცნობიერონ ბავშვის განვითარების ინდივიდუალურობა, დაგეგმონ და განახორციელონ საქმიანობები, რომლებიც ხელს შეუწყობს როგორც ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას, ასევე მის მომზადებას სკოლისა და მომავალი ცხოვრებისათვის. სახელმძღვანელოში გაერთიანებულია ადრეულ ასაკში ბავშვის სწავლისა და განვითარების თეორიული მიმოხილვა, სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკული სავარჯიშოები.

ამ ტიპის სახელმძღვანელო საქართველოში პირველად მომზადდა, იყო ძველი დოკუმენტები, მაგრამ ბევრი რთულად გასაგები ენით იყო დაწერილი და იქ წარმოდგენილი მეთოდებიც მოძველებული იყო, დღეს მათი გამოყენება აღარ არის ადეკვატური.

გვერდი 4-5

# „ოლიმპოს მწვერვალი“ ქართულ სასკოლო სივრცეში



გვერდი 9

C M Y K

# გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

## აცხადებს

ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე
- ინფორმატიკის კათედრაზე

1 სრული პროფესორი

საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 2 მაისიდან 2011 წლის 18 მაისის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 21 ივნისს.

კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2011 წლის 27 ივნისს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე

**www.gttu.edu.ge**

ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 66 15 12; 24 65 91


გამოცდების ეროვნული ცენტრი

# 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის 40 ათასამდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა

გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა დაასრულა რეგისტრაციის პროცესი 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სტუდენტების საგრანტო კონკურსისათვის. დასრულდა განაცხადების მიღება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მსურველთათვისაც.

## 2011 წელს უმაღლესი სასწავლებლები აკადემიურ პროგრამებზე 33988 აბიტურიენტს მიიღებს

პირველადი მონაცემებით, 25 მარტის 18:00 საათისათვის რეგისტრაცია გაიარა 39 ათაზე მეტმა აბიტურიენტმა. მათგან დაახლოებით 29 ათასმა განაცხადი ელექტრონულად შეავსო. ინტერნეტით რეგისტრირებულთა მონაცემებზე დაყრდნობით, ყველაზე მეტი განაცხადი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებზე გაკეთდა.

გამოცდების ეროვნული ცენტრი საბოლოო მონაცემებს აბიტურინეტებისა და პროგრამებზე განაცხადების რაოდენობის შესახებ არაელექტრონულად შევსებული განაცხადების დამუშავების შემდეგ გამოაქვეყნებს.

**საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის 7516 კანდიდატი დარეგისტრირდა, სტუდენტთა საგრანტო კონკურსში კი წელს 6857 აპლიკანტი მიიღებს მონაწილეობას.**

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა რესურსცენტრებიდან განაცხადების მიღების შემდეგ გახდება ცნობილი.

## ინფორმაცია

* * *



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კავკასიის მისიის დირექტორის მოადგილემ **იაკიმ პარკერმა** პროფესიული კოლეჯების პედაგოგებს თანამედროვე სასწავლო მასალები წარუდგინეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროფესიული განათლების პროექტის ფარგლებში, პროფესიული კოლეჯებისათვის მომზადდა:

- მძიმე ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი, ექსკავატორი) მართვის სასწავლო სახელმძღვანელო;
- კალატოზის სასწავლო სახელმძღვანელო;
- სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების წესების სასწავლო ვიდეოფილმი;
- დასაქმების უნარ-ჩვევების სასწავლო ვიდეოფილმი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის პროფესიული განათლების სექტორში მოთხოვნადი პროფესიების სწავლებისთვის შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ეფექტური სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება და დანერგვა სწავლების ხარისხის ამაღლებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას ემსახურება.

USAID-ის პროფესიული განათლების პროექტი საქართველოში სამწლიანი პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული განათლების კოლეჯებში ტურიზმისა და მშენებლობის სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადებასა და მათ დასაქმებას, ასევე კოლეჯების მუშაობის ეფექტურობის გაზრდას კერძო და საჯარო სექტორთან ურთიერთთანამშრომლობის გზით.

პროექტის პრიორიტეტებს წარმოადგენს: კოლეჯებისთვის თანამედროვე აღჭურვილობის და მასალების მიწოდება, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, თანამედროვე და პრაქტიკული სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება და გამოცემა, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, კოლეჯებში დასაქმების სამსახურების ჩამოყალიბება, კერძო სექტორთან ეფექტური თანამშრომლობის სისტემის შექმნა და პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ირინე ქურდაძემ** განათლებაში ტექნოლოგიების ინტეგრაციის თემაზე ორდღიანი კონფერენცია გახსნა. სამინისტროსა და Microsoft-ის ერთობლივ ღონისძიებას Microsoft-ის წარმომადგენლობის გენერალური მენეჯერი საქართველოში **დავით ასათიანი** და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის განათლების მენეჯერი **თეოდორ მილევი** უძღვებოდნენ. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ სკოლის დირექტორები, მოსწავლეები, სამინისტროს სსიპ-ების, Microsoft-ის სათაო ოფისის და ლატვიის განათლების სამინისტროს წარმომადგენლები.

2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კორპორაცია Microsoft-ს შორის დაიდო მემორანდუმი „გლობალური ინიციატივა Partners in Learning-ის ფარგლებში“.

მემორანდუმის საფუძველზე, ყოველწლიურად, ტარდება ანალოგიური სამუშაო შეხვედრები, რომელზედაც ჯამდება განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები თუ ინიციატივები და ამ აქტივობებში კორპორაციის Microsoft ჩართულობა.

ამ მემორანდუმის დამსახურებაა ის ფაქტი, რომ, პრეზიდენტის ინიციატივით, ყველა პირველკლასელისთვის გადასაცემ ნეთბუქში ჩატვირთული იქნება ლიცენზირებული Windows.

სამუშაო შეხვედრაზე დაისახა მომავალი თანამშრომლობის სტრატეგიები და მექანიზმები. წლების განმავლობაში განათლების მიმართულებით მუშაობისას მაიკროსოფტს დაუგროვდა გამოცდილება, რესურსები, ტექნოლოგიები, რომლებიც ქვეყანაში არსებული სასწავლო პროგრამების გაფართოების საშუალებას იძლევა.

არსებული რესურსებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთად გამოყენება გაზრდის ქვეყანაში მიმდინარე პროექტების, პროგრამების მასშტაბებს და დააჩქარებს სკოლების, მასწავლებლების, დირექტორების ჩართულობას პროფესიული განვითარების, სასკოლო კვლევების, საგანმანათლებლო რესურსების შექმნისა და განათლების ხარისხის ამაღლების მიმართულებით.



# სამაგალითო სკოლა
# ნოვაციით და ტიპური პრობლემებით

თბილისის 182-ე საჯარო სკოლა (დირექტორი – **სოფო საბულუა**) ანალოგიური ტიპის დაწესებულებებს შორის ერთ-ერთი ის იშვიათი გამონაკლისია, სადაც სპორტი შემოსავლის წყაროდ აქციეს. სკოლამ ამას საცურაო აუზის ამუშავებით მიაღწია, სადაც ახლა ფასიანი ჯგუფებიცაა გახსნილი. აუზი აქ ადრეც არსებობდა, მაგრამ ბოლო წლების ძნელბედობამ ისიც შეიწირა, თუმცა ბოლომდე არ განადგურებულა. მოგვიანებით დირექციამ მისი გარემონტება განიზრახა, თუმცა ხელოსნებმა იმდენად დიდი თანხა მოითხოვეს, მის გადახდას სკოლა ვერაფრით შეძლებდა, ამიტომ ისევ საკუთარი ძალებით გადაწყვიტეს გარემონტება. ნელ-ნელა, ეტაპობრივად და თანდათან საქმე წინ წასწიეს და შარშან აუზი საზეიმო ვითარებაში გახსნეს. ის არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეების, არამედ მთელი დასახლებისთვის მუშაობს. თავიდან ანაზღაურება შიდა და გარე კონტინგენტისთვის განსხვავებული იყო, მაგრამ ახლა ყველასთვის საერთოა. ჰყავთ პროფესიონალი კადრიც და წვრთნის პროცესიც შეუფერხებლად მიმდინარეობს. ცხადია, ინტერესიც ძალიან დიდია – ზამთარში მსურველთა რაოდენობა, ჩვეულებრივ იკლებს ხოლმე, მაგრამ ამ სეზონზე 150-მდე ბავშვი მაინც დადიოდა, ახლა კი კონტინგენტის გაზრდას ელოდებიან.





ამ აუზის ამუშავება იმის მაგალითია, რომ მონდომების შემთხვევაში ყველაფრის გაკეთება შეიძლება – როცა მსგავსი აუზები მთელი ქვეყნისთვის პრობლემაა და ისეთ დიდ ქალაქშიც კი, როგორიც „საქართველოს მეორე დედაქალაქად" წოდებული ქუთაისია, აუზის არარსებობის გამო, ბავშვებს ცურვას... ჩვეულებრივ ოთახში, იატაკზე ხელების ქნევით ანუ ცურვის იმიტაციით ასწავლიან (ალბათ, გახსოვთ ეს ცნობილი ტელესიუჟეტი, არც ისე დიდი ხნის წინ მთელი ინტერნეტსივრცე რომ მოიარა), ერთმა რიგითმა სკოლამ ამის გაკეთება მოახერხა! მართალია, აუზის შენახვა ცოტა ძვირი სიამოვნებაა და დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ შემოსავალიც იმდენია, საკუთარი თავის შენახვა შეუძლია. უბრალოდ, თვით აუზის გაკეთებაა იმდენად ძვირადღირებული სამუშაო, ამას თავისი ხარჯით სკოლები კი არა, წმინდა კომერციული ტიპის ორგანიზაციებიც კი ვერ შეძლებენ. თან მშენებლობის თანხას წყლის გათბობის, ელექტროენერგიის და სხვა ტიპის ხარჯებიც ემატება. შარშან ამ აუზის გახსნას რაიონის მაჟორიტარი **რუსუდან კერვალიშვილიც** კი ესწრებოდა, ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელობამ კი ეს სკოლა სამაგალითოდ და იმის ნიმუშად დაასახელა, თუ როგორ უნდა გამონახოს სკოლამ სახსრები.

თუმცა, სკოლის ერთადერთი ღირსება საცურაო აუზი არაა. ის გარეუბანში, ვარკეთილში მდებარეობს და 1305 მოსწავლე ჰყავს, სპორტში კი დიდი ტრადიციები აქვს. აქაურები მუდმივად მონაწილეობენ კალათბურთის, სკოლბურთის, ფრენბურთის თუ სხვა სახეობების გათამაშებებში – რესპუბლიკურშიც, საქალაქოშიც, სარაიონოშიც და წარმატებებიც მოეპოვებათ. მაგალითად, შარშან ქვეყნის სკოლბურთის ჩემპიონატში მესამეზე გავიდნენ, ფრენბურთშიც მოიპოვეს მედლები, წარმატებით გამოვიდნენ „მხიარულ სტარტებში" – მეორეზე გავიდნენ... თუმცა, მოსწავლეთა გარდა, აქაურები მასწავლებელთა შორის გამართულ სპორტულ ღონისძიებებშიც მონაწილეობენ და იქაც წარმატებით. მაგალითად, შარშან, განათლების მუშაკთა პროფკავშირის ორგანიზებით ჩატარებულ ქვეყნის „მასწავლებელთა თამაშებში" მონაწილეობდნენ (ეს კომპლექსური ღონისძიება იყო, ანუ სპორტის რამდენიმე სახეობაში გაიმართა) და გაიმარჯვეს კიდეც. ტრადიცია წლეულსაც გრძელდება – რამდენიმე დღის წინ სკოლის კალათბურთელთა გუნდმა საქალაქო პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. პარალელურად, ახალი შეჯიბრებებისთვის ემზადებიან.

ქვეყნის სხვა სკოლების მსგავსად, სპორტის გაკვეთილები აქაც ახლებურად ტარდება – VI კლასამდე ბავშვებს საერთო ფიზმომზადებას ასწავლიან, იმის ზევით კი უკვე დიფერენცირებული მიდგომაა სპორტის სახეობების მიხედვით. სკოლამ მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით სამი სათამაშო სახეობა აირჩია – კალათბურთი, ფრენბურთი და ხელბურთი, თუმცა ისევ და ისევ ბავშვთა სურვილის გათვალისწინებით, გაკვეთილებზე სახეობების გადანაცვლება ხდება.



ცურვის გარდა, სკოლაში კალათბურთის ფასიანი სექციაც მუშაობს, ოღონდ მისი სტილი პრინციპულად განსხვავდება საგაკვეთილო კალათბურთისგან – იქ უკვე პროფესიულ დონეზე ასწავლიან თამაშს, ყველა ნიუანსის გათვალისწინებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, კალათბურთის გაკვეთილზე თუ მაინც უფრო გასართობი ფუნქცია აკისრია, ამ სპეციალურ მეცადინეობებზე კი პროფესიულ ასპექტებზე ამუშავებენ, დიდი სპორტისთვის ამზადებენ. ეს მსურველებისთვისაც სტიმულია – დიდ სპორტში გზის გაკვლევის შანსი ეძლევათ. განსხვავებულია მასწავლებელთა მიდგომაც. ცურვისა და კალათბურთის ფასიან ჯგუფებში ადგილობრივი მოსწავლეების გარდა, ვარჯიში ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

სკოლას კადრები არ უჭირს, მაგრამ დიდი პრობლემაა ბაზა, ინვენტარი. სკოლას ღია მოედნები კი აქვს, მაგრამ იქაურობა მოუწყობელია და თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. ისე, ცოტა გასაკვირი კია – რამდენიმე წლის წინ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი თბილისში, ხელოვნურსაფარიანი მოედნების ბუმი იყო. ეს ძალიან კარგია და მისასალმებელია, მაგრამ პარადოქსია, რომ ამის პარალელურად სკოლების სპორტული ბაზებით უზრუნველყოფა არავის მოუგონებია. მართალია, იმ მოედნებს სხვა სამინისტრო აშენებდა, ეს კი სხვისი გასაკეთებელია, მაგრამ მთავარი პრობლემა ისაა, რომ არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, ერთიანი ხედვა სპორტში, თორემ ხელისუფლებისთვის უწყებრივი ფუნქციები სულ ერთია – საჭირო თანხა ორივე სამინისტროსთვის ერთი და იმავე ბიუჯეტიდან გაიცემა. ვფიქრობ, მომავალი თაობის ჯანმრთელად აღზრდას მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს – ჯანმრთელი ადამიანი ხომ ქვეყნის თავდაცვისუნარიან მოქალაქეს ნიშნავს, მოსახლეობის გაჯანსაღებაზე დახარჯული ფული კი სოციალური ფონდების შემცირებას იწვევს – ჯანმრთელობის შენარჩუნება უფრო იაფი ჯდება, ვიდრე – დაავადებულის განკურნება. დასავლეთი სწორედ ასე უდგება საკითხს, ჩვენთან კი ამ მარტივ ჭეშმარიტებას ჯერაც ვერ აფასებენ.

დირექცია იმედოვნებს, რომ ამ ზაფხულში ღია მოედნებიც გაკეთდება, თუმცა ამგვარი დაპირება ზემდგომთაგან ადრეც არაერთხელ მიიღეს. ეს კარგი სამსახური იქნება არა მარტო ამ სკოლის, არამედ მთელი უბნის ახალგაზრდობისთვის. იმედია, დაპირება ამჯერად მაინც შესრულდება, მანამდე კი, ამ სკოლის მთელი სპორტული ბაზა ერთადერთი დახურული დარბაზით შემოიფარგლება და ისიც ძალზე პატარაა, არასტანდარტული – 24X12. დაგვეთანხმებით, 1300 ბავშვისთვის ეს ძალზე ცოტაა, თუმცა მეორე პრობლემაა ის, რომ არც ინვენტარი ჰყოფნით. ესეც კიდევ ერთი გადაუჭრელი დილემა არა მხოლოდ ამ სკოლის, ზოგადად – ყველასთვის.

ყველაფრის მიუხედავად, სკოლა ამ პირობებშიც კი ახერხებს, აქტიურად იყოს ჩართული სპორტულ ცხოვრებაში. მართალია, დიდი ძალისხმევის ფასად, მაგრამ მაინც. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რა ღონისძიებებში არიან ისინი ჩართულნი, თუმცა ოფიციალურ ასპარეზობებამდე ჯერ სკოლაში ტარდება შიდა შესარჩევი შეჯიბრებები, სადაც სკოლის ნაკრების წევრებს არჩევენ. სკოლაში ამ შიდა შეჯიბრებებისთვის ცხრილიც კი შეადგინეს, რაც, ძირითადად, დამატებითი გაკვეთილების ხარჯზე ხდება. აქვე ისიც ვთქვათ, რომ სკოლა მონაწილეობს არა მხოლოდ იმ სამ არჩეულ სახეობაში გამართულ ტურნირებში, არამედ – სხვა სახეობებშიც.

რაც შეეხება ახლებურ მიდგომას, ანუ ნოვაციას – სპორტის გაკვეთილების შემოღებას, მიესალმებიან და მიაჩნიათ, რომ ადრინდელთან შედარებით, დღეს პროგრესია. მათი აზრით, ეს მოდელი მეტ-ნაკლებად მოიცავს ყველა ბავშვის ინტერესს. იქნებ ყოველ გაკვეთილზე მათთვის მისაღები სახეობა არ იყოს, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე ამის დროც დადგება. ცხადია, არის შემთხვევები, როცა ვილაცას, ვთქვათ, ფრენბურთი უნდა და არა კალათბურთი, მაგრამ ამაზე მასწავლებლები აქეთ სვამენ კითხვას – ქიმია, ფიზიკა ან სხვა საგანი განა ყველას უნდა, მაგრამ მაინც ხომ სწავლობენ? როგორც ზევით გითხარით, მასწავლებლები – **მალხაზ ანდღულაძე**, **პავლე მაჩაიძე** და **გივი სუხოშვილი** ყველას ინტერესის გათვალისწინებას ცდილობენ.

იმედს ვიტოვებთ, ახალ სასწავლო წელს ეს სკოლა განახლებული სპორტული ბაზით შეხვდება, რაც აქაური ბავშვებისთვის ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება. თუმცა, როგორც გითხარით, ანალოგიური პრობლემა ძალიან ბევრ სკოლას აწუხებს თბილისშიც და რეგიონებშიც. კარგი იქნება, სახელმწიფო ამ ხარვეზის აღმოფხვრაზე კომპლექსურად თუ იმსჯელებს.

*ირაკლი თაბაძე*

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და „საქართველოს განათლების სისტემის დამსაქმებელთა გაერთიანების" ხელმძღვანელმა **დავით ლაგვილავამ** თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მხარდასაჭერად,სამინისტროსა და დამსაქმებელთა გაერთიანებას შორის ღია და კონსტრუქციულ თანამშრომლობას გულისხმობს.

„საქართველოს განათლების სისტემის დამსაქმებელთა გაერთიანების" წევრები სკოლების, პროფესიული სასწავლებლების, საბავშვო ბაღების დირექტორები, ანუ პოტენციური დამსაქმებლები არიან. მემორანდუმი რეფორმაში ჩართულ ამ საგანმანათლებლო ინსტიტუციებსა და მხარეებს შორის სოციალური დიალოგის წარმართვის პროცესის ხელშეწყობას, რეფორმის პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და ინფორმირებულობის დონისა და დამსაქმებელთა (დირექტორების) კვალიფიკაციის ამაღლებას ითვალისწინებს.

მემორანდუმის ფარგლებში მოხდება საგანმანათლებლო და სააღმზრდელო ინსტიტუციებს შორის კავშირების აღდგენა და განვითარება, ერთობლივი სამუშაო ჯგუფების,შეხვედრების, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, ერთობლივი საექსპერტო ჯგუფების ჩამოყალიბება და სხვ.

ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა „საჯარო სკოლების ფინანსური მართვის ელექტრონული სისტემის" პრეზენტაცია, რომელიც გაერთიანების ინიციატივითა და დაკვეთით კომპანია „სინგულარ ჯგუფმა" შექმნა. სისტემა სრულიად თავსებადია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილ მოსწავლეთა საინფორმაციო სისტემასა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზასთან. მისი მიზანია ჩვენს ქვეყანაში არსებული საჯარო სკოლების ფინანსური სიტუაციის მოწესრიგება და დირექტორებისთვის სკოლის მართვის პროცესში ხელშეწყობა.



სკოლამდელი აღზრდა

# პუბლიკაციები, რომლებსაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები დიდი ხანია ელოდნენ

*პირველი გვერდიდან*

„საბავშვო ბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელო“ სამი ნაწილისგან შედგება:

**პირველ ნაწილში** – *სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებანი* განხილულია სხვადასხვა სფეროსა და ასაკის მიხედვით. ყველასთვის გასაგები ენით დაწერილი სახელმძღვანელო არ არის სამეცნიერო ტერმინებით გადატვირთული.

**მეორე ნაწილი** – *სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია სკოლამდელი განათლების საფეხურზე* – როგორ დაიგეგმოს დღის რეჟიმი საბავშვო ბაღში; როგორ მოეწყოს სასწავლო გარემო, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს თითოეული ბავშვის უნარების განვითარებას; სწავლების რა მეთოდები გამოიყენოს აღმზრდელმა მეტყველების, შემეცნების განვითარებისთვის, ფიზიკური თუ ესთეტიკური განვითარებისთვის. ყურადღება გამახვილებულია სასკოლო მზაობაზე – როგორ უნდა მოამზადოს აღმზრდელმა ბავშვი სკოლისთვის. საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა ინკლუზიურ განათლებას სკოლამდელ საფეხურზე. მოცემულია რჩევები, როგორ მოახერხოს მასწავლებელმა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ყველა იმ სიკეთის უზრუნველყოფა, რაც მათი თანატოლებისთვისაა ხელმისაწვდომი.

**მესამე ნაწილი** – *თამაშები და პრაქტიკული სავარჯიშოები*, რომლებიც რჩევების სახითაა მოცემული სხვადასხვა სფეროში: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, წიგნიერება, სოციალური და ემოციური, შემეცნებითი უნარები, მეტყველება, ფიზიკური განვითარება.

გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს:

## სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება



**ასაკობრივი ჯგუფი:** 3-6;

**თემა:** ფიგურები, გეომეტრიული ფორმები (ძერწვა);

**მიზანი:** დაკვირვების უნარის, სივრცული აღქმის და ნატიფი მოტორიკის განვითარება, ბავშვმა შეძლოს სხვადასხვა ზომის საგნების შედარება და გარჩევა, სიბრტყეზე განაწილება;

**საჭირო რესურსი:** პლასტილინი, დაფა, ერთჯერადი პლასტმასის დანები.

**მსვლელობა: (35-40 წთ.)**

**აქტივობა I (5 წთ.)**

აღმზრდელი სთხოვს ბავშვებს, გაიხსენონ წინა მეცადინეობიდან რა ახსოვთ, რა გააკეთეს, მოეწონათ თუ არა დავალება; ჩამოთვალონ, რა ფორმები ისწავლეს (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე), გაიხსენონ და დაასახელონ ფერები და ა.შ.

**აქტივობა II (15-20 წთ.)**

1. აღმზრდელი ეუბნება ბავშვებს, რომ დაიწყონ პლასტილინისგან სხვადასხვა ზომის (აღმზრდელმა ხაზი უნდა გაუსვას, რომ ფიგურები სხვადასხვა ზომის უნდა იყოს) და ფორმის ფიგურების/ფორმების გამოძერწვა. თითოეული ფიგურა შეიძლება გამოიძერწოს როგორც ერთი, ასევე რამდენიმე ფერის პლასტილინისგან;

2. მას შემდეგ, რაც ბავშვები მორჩებიან ძერწვას, მათ ფიგურები/ფორმები უნდა გაანაწილონ დაფაზე და შექმნან გარკვეული კომპოზიცია.

**აქტივობა III (10-15 წთ.)**

აღმზრდელი სთხოვს ბავშვებს, ვისაც სურვილი აქვს, ისაუბროს მის ნამუშევარზე გამოსახულ ფიგურებზე, ყურადღებას ამახვილებს ფიგურების/ფორმების ზომებსა და განლაგებაზე:

- რომელია უფრო დიდი ფიგურა/ფორმა? პატარა?
- რა ფერის არის ესა თუ ის ფიგურა/ფორმა?
- როგორი ფორმა აქვს?
- რომელია უფრო წინ? შუაში? უკან? ერთმანეთის გვერდით?

აღმზრდელი ბავშვებს ავარჯიშებს შემდეგ ცნებებში: დიდი-პატარა, წინ-უკან, ახლოს-შორს.

## მუსიკა



**ასაკობრივი ჯგუფი:** 3-4;

**თემა:** კონცერტი;

**მიზანი:** აუდიტორიის წინაშე გამოსვლის, კონცერტზე დასწრების ჩვევების შემუშავება; გუნდში სიმღერის ჩვევის, მუსიკალური სმენის, მეხსიერების განვითარება.

**საჭირო რესურსი:**

3-4 ნასწავლი სიმღერის სანოტო ტექსტი, მაგალითად:

მ. დავითაშვილის – „ჩიტო, ჩიტო ნაცარა“;

მ. დავითაშვილის – „ეს საწყალი კურდღელი“;

ლ. იაშვილის – „კრიჭი, კრიჭი“;

ი. გურგულიას – „აჩუ, აჩუ“.

**მოსამზადებელი სამუშაო:** ბავშვებს შეუძლიათ, იმღერონ ან აჰყვნენ რამდენიმე, მათ შორის, ამოსაცნობ სიმღერას.

**მსვლელობა** (20 წთ.):

1. აღმზრდელი აფრთხილებს ბავშვებს, რომ მოისმენენ მათთვის ნაცნობ სიმღერებს. თითოეული მათგანის მოსმენის შემდეგ უნდა ამოიცნონ და დაასახელონ ისინი: „ახლა მოისმენთ თქვენთვის ნაცნობ რამდენიმე სიმღერას. გთხოვთ, გაიხსენოთ, რომელი სიმღერებია“;

2. ფორტეპიანოზე უკრავს თითოეული სიმღერის აკომპანემენტს იქამდე, სანამ ბავშვები არ დაასახელებენ ან არ მიანიშნებენ სიმღერაზე. აღმზრდელი თითოეულ ბავშვთან შეთანხმებით არკვევს, ვის რომელი სიმღერის შესრულება სურს; არჩეული სიმღერების მიხედვით ყოფს ბავშვებს 3-4 ჯგუფად;

3. აღმზრდელი ეუბნება, რომ სიმღერები ისე უნდა შესრულდეს, როგორც კონცერტზე – თითოეული ჯგუფი მეგობრების წინაშე გამოვა სცენაზე და იმღერებს. სიმღერის დასრულების შემდეგ მომღერლები თავს დაუკრავენ მსმენელს; დანარჩენები კი ტაშს დაუკრავენ მათ, როგორც ამას კონცერტზე მისული მსმენელი აკეთებს;

4. კონცერტის დასრულების შემდეგ აღმზრდელი შეაქებს და მადლობას გადაუხდის ბავშვებს. შეეკითხება, მოეწონათ თუ არა კონცერტზე გამოსვლა და დასწრება.

**რჩევა აღმზრდელს:**



- ბავშვებმა აკომპანემენტის მიხედვით (ტექსტის გარეშე) უნდა ამოიცნონ მათთვის ნაცნობი 3-4 სიმღერა. ამიტომ აკომპანემენტში აუცილებლად უნდა გატარდეს სიმღერის მელოდია;
- ბავშვებმა სიმღერაზე შეიძლება მიანიშნონ სათაურით, სიმღერის ტექსტის ფრაგმენტით, ტექსტისა და მელოდიის გამღერებით – ყველა პასუხი დადებითად ჩაითვლება. სასურველია, რომ ამოცნობის პროცესში ყველა/ბევრმა ბავშვმა მიიღოს მონაწილეობა;
- თუ ბავშვებს გაუჭირდებათ სიმღერებს შორის მათთვის სასურველის შერჩევა, მათ აღმზრდელი უნდა დაეხმაროს ბუნებრივი მონაცემებისა და რეპერტუარის ცოდნის გათვალისწინებით;
- ამ სავარჯიშოს მთავარი დატვირთვა არის „როლური თამაში“, სადაც ბავშვი შემსრულებლისა და მსმენელის როლში გამოდის. აღმზრდელი ხელმძღვანელობს როგორც ჯგუფების სცენაზე გამოსვლას, ასევე მსმენელის ქცევას. ამ სავარჯიშოში შედარებით ნაკლებად ექცევა ყურადღება შესრულების ხარისხს.

## წიგნიერება



**ასაკობრივი ჯგუფი:** 5-6;

**თემა:** ასოების ამოცნობა;

**მიზანი:** ბავშვებისთვის იმის სწავლება, რომ სიტყვები შედგება ასოებისგან და ეს ასოები მეორდება სხვადასხვა სიტყვებში.

**საჭირო რესურსი:** ბარათები ნახატებით და შესაბამისი წარწერებით, ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილი ასოები.

**მოსამზადებელი სამუშაო:**

მოიმარაგეთ ანბანის ბარათები, რომელზეც მოცემულია ნახატი და ნახატის ამსახველი სიტყვის პირველი ასო. ბარათებზე მოცემული ასოები გამოჭერით ფერადი ფურცლებისგან და მიამაგრეთ დაფაზე.

**მსვლელობა:**

ბავშვებს დაურიგეთ ბარათები. თხოვეთ, გითხრან, რა არის გამოსახული ნახატზე. აუხსენით, რომ ბარათზე წერია ამ სიტყვის პირველი ასო. ბავშვები უნდა დააკვირდნენ ასოებს, იპოვონ შესაბამისი ასოები დაფაზე და მოხსნან ისინი. ბავშვები ადარებენ ერთმანეთს ასოებს და ერთნაირი ასოების მქონე ბავშვები ერთად ჯგუფდებიან. აღმზრდელი თხოვს ჯგუფებს ჩამოთვალონ სიტყვები, რომელიც ჯგუფის მიერ შერჩეული ასოთი იწყება.

ბავშვები ჩამოთვლიან სიტყვებს. ჯგუფებში გაერთიანებული ბავშვები ერთმანეთს უწევენ დახმარებას.

## სოციალური და ემოციური სფერო

**ასაკობრივი ჯგუფი: 5-6;**

**თემა:** მე მიხარია, როცა;

**მიზანი:** საკუთარი მოწყენილობისა და მხიარულების მიზეზების გარკვევა;

**საჭირო რესურსი:** 2 დიდი ფორმატის ფურცელი და ფლომასტერი.

**მსვლელობა:**

დახატეთ ერთი ფორმატის ფურცელზე მოწყენილი და მეორეზე მხიარული სახე. გააკარით ფურცლები ერთმანეთისგან მოშორებით. ჰკითხეთ ბავშვებს, რომელია მოწყენილი გამოსახულება და რომელია მხიარული. გააკეთეთ შესაბამისი წარწერა გამოსახულებების ქვეშ.

სთხოვეთ ბავშვებს დაჯგუფდნენ მხიარული სახის მქონე გამოსახულებასთან და მიიღონ მხიარული სახეები. ჰკითხეთ თითოეულ




ბავშვს, როდის გრძნობენ თავს მხიარულად და რატომ. პირველად მაგალითი თქვენ მიეცით: „მე მიხარია თქვენთან ერთად თამაში“.

თითოეული ბავშვის პასუხის მოსმენის შემდეგ, სთხოვეთ მათ გადაინაცვლონ და დაჯგუფდნენ მოწყენილ სახესთან. ბავშვებმა უნდა მიიღონ მოწყენილი სახეები. ჰკითხეთ თითოეულ ბავშვს, როდის არის მოწყენილი და რატომ. მიეცით მაგალითი: „მე მოწყენილი ვარ ხოლმე, როდესაც მატყუებენ“. დაყავით ბავშვები წყვილებად. ისინი უნდა შეთანხმდნენ და მიმიკით გამოხატონ მოწყენილობა ან მხიარულება.

წყვილები გამოდიან და იღებენ მოწყენილ ან მხიარულ სახეებს. ბავშვებმა უნდა მიუთითონ, კედელზე გამოკრულ რომელ გამოსახულებას შეესაბამება წყვილების მიმიკა. წყვილები დგებიან ამ გამოსახულების ქვეშ. თამაშის დასრულების შემდეგ ბავშვებთან ერთად დათვალეთ რამდენმა ბავშვმა განასახიერა მოწყენილი და რამდენმა მხიარული სახე.

## ფიზიკური განვითარება

**ასაკობრივი ჯგუფი:** 4-5;

**თემა:** მოძრავი თამაში: „ესტაფეტა გაძრომით“;

**მიზანი:** სისწრაფისა და სიმარდის განვითარება, მოძრაობათა კოორდინაციის განმტკიცება;

**საჭირო რესურსი (ინვენტარი):** 40-45 სმ. სიმაღლის 2 რკალი, იგივე დიამეტრის 2 სალტე;

**მოსამზადებელი სამუშაო:** 2 გუნდად გაყოფილი მოთამაშეები რიგებად მოეწყობიან მოედნის შუაში გავლებულ ხაზთან, ერთმანეთისგან 3-4 მ დაცილებით. მათ პირდაპირ, 4-6 მ დაშორებით, დაიდგმება თითო რკალი, ხოლო რკალებიდან 4-6 მ. იქით, იატაკზე, დაიდება თითო სალტე.

**მსვლელობა (ხანგრძლივობა 8-10 წუთი):**

აღმზრდელის სათანადო ნიშანზე (სასტვენი, ტაში) ორივე გუნდის დამწყები მოთამაშეები გარბიან რკალებისკენ, გაძვრებიან მათში, იმავე ადგილზე ტოვებენ სალტეს და სირბილით ბრუნდებიან უკან. დაბრუნებისას ხელმეორედ გაძვრებიან რკალში, ხელით შეეხებიან თავის მომდევნო მოთამაშის გამოშვერილ ხელს და დგებიან თავისი გუნდის ბოლოში. ასევე აგრძელებენ თამაშს დანარჩენებიც.

გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც ადრე დაამთავრებს თამაშს.

**წესები:**

1. თუ გაძრომისას რკალი გადააადგილდა, მოთამაშემ იგი საწყის ადგილზე უნდა დადგას;

2. სანამ დაბრუნებული მოთამაშე ხელზე არ შეეხება, მომდევნო მოთამაშეს, უფლება არა აქვს განაგრძოს თამაში.

**რჩევა აღმზრდელს:**

სალტეში გაძრომა (წინასწარი შეთანხმებით) შეიძლება ნებისმიერი წესით: სალტის თავზე ჩამოცმით ან პირიქით, სალტეში ჩადგომით და თავზემოდან გადაძრობით.



რაც შეეხება **„სკოლამდელი განათლების პროგრამას“,** ალბათ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ ჩვენმა ცენტრმა გამოსცა „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“. სწორედ იმ დოკუმენტს ეფუძნება ეს პროგრამა. სტანდარტისგან განსხვავებით, პროგრამაში ორი ასაკობრივი ჯგუფია, რადგან მხოლოდ სკოლამდელ განათლებას მოიცავს და გამიზნულია 3-4 და 5-6 წლის ასაკობრივ ჯგუფებზე.

ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია სკოლამდელი განათლების სასწავლო მიზანი და ძირითადი ამოცანები; აღწერილია სკოლამდელი განათლების საფეხურზე სწავლა-სწავლებისა და აღზრდის ძირითადი სფეროები. მათი დასახელებები და შინაარსიც განსხვავდება სტანდარტში მოცემული სფეროებისგან, სხვა სტრუქტურაა, საგანმანათლებლო მოდელზე მორგებული, სტანდარტში კი უფრო განვითარების მოდელი იყო წარმოდგენილი. თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში გამოყოფილია ხუთი სფერო: *მეტყველება, მოსწავლედ ჩამოყალიბება, ფიზიკური განვითარება, სამყაროს აღმოჩენა და ხელოვნება.* თითოეულ სფეროში სხვადასხვა მიმართულებებია, მაგალითად, სფერო – *მეტყველება*, მიმართულება – *ზეპირი მეტყველება; წერითი მეტყველება (კითხვა და წერა).* თითოეულ მიმართულებას რამდენიმე შედეგი აქვს, რომელიც შესაბამისი ინდიკატორებით მოწმდება.

„სკოლამდელი განათლების პროგრამაში“ თავმოყრილია ის ძირეული და მნიშვნელოვანი საკითხები, რაც მასწავლებელს დაეხმარება, უკეთ გაართვას თავი მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, იცოდეს, რა შედეგს უნდა მიაღწიოს ბავშვმა და როგორ დაეხმაროს მას ამ შედეგის მიღწევაში, რაზე გაამახვილოს ყურადღება.

პროგრამაზე, ძირითადად, მუშაობდნენ: ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამმართველოს უფროსი **თამარ ჯაყელი** და მათემატიკის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი **ეკატერინე სლოვინსკი**. ისინი აგრეთვე ჩართულნი იყვნენ დაწყებითი განათლების სტანდარტების მომზადებაში, შესაბამისად მაქსიმალურადაა უზრუნველყოფილი ბმა ამ ორ დოკუმენტს შორის.

→ 5

C M Y K

## სკოლამდელი აღზრდა

ჩვენ ვერ დავავალდებულებთ ვერც ერთ საბავშვო ბაღს, რომ იხელმძღვანელონ ამ პროგრამით, იმიტომ რომ, ცენტრალურ ხელისუფლებას, დღევანდელი კანონმდებლობის ფარგლებში, არ აქვს უფლება, დაავალდებულოს რომელიმე მუნიციპალიტეტი. მოგეხსენებათ, საბავშვო ბაღები მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არიან როგორც ადმინისტრაციულად, ასევე ფინანსურად. ცენტრის მიერ მომზადებული დოკუმენტები სარეკომენდაციო ხასიათისაა. ჩვენ შევიმუშავეთ და უსასყიდლოდ გადავცემთ ბაღებს, იხელმძღვანელებენ თუ არა ამ დოკუმენტებით, ეს უკვე მათი გადასაწყვეტი იქნება. მუნიციპალიტეტს შეუძლია სავალდებულო გახადოს და დარწმუნებული ვარ, ბევრი ასეც მოიქცევა. ამის პრეცედენტი, სტანდარტის შემთხვევაში, უკვე იყო ბათუმში და შესაძლოა, ბევრ სხვა მუნიციპალიტეტშიც. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი განათლების სისტემა დეცენტრალიზებულია, მაინც სასურველია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ერთიან მინიმალურ სტანდარტს ექვემდებარებოდნენ.

**„სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა“** – ეს დოკუმენტიც „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტებსა“ და „სკოლამდელი განათლების პროგრამაზეა“ მიბმული. მოყვება ინსტრუქცია, როგორ გამოიყენოს აღმზრდელმა. ხაზია გასმული იმაზე, რომ ეს არ არის რაიმე სახის ფსიქოლოგიური ტესტი, ანუ შეფასების სტანდარტული ინსტრუმენტი, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი გამოყენება დიაგნოსტიკის მიზნით არ შეიძლება. ეს არის ბავშვის შესახებ ინფორმაციის ორგანიზებულად შენახვის ფორმა, რომელსაც წლის დასაწყისში შეავსებს აღმზრდელი და წლის ბოლოს მას შესაძლებლობა ექნება შეადაროს, ჰქონდა თუ არა ბავშვს თავდაპირველად რომელიმე სფეროში განსაკუთრებული საჭიროება ან შემდეგ თუ გაუჩნდა და ა.შ. ფორმები მომზადებულია ცალ-ცალკე – 2-დან 3 წლამდე, 3-დან 4 წლამდე, 4-დან 5 წლამდე და 5-დან 6 წლამდე ბავშვებისთვის. მითითებული ასაკი საორიენტაციო ხასიათისაა და არ ნიშნავს იმას, რომ ამ ასაკში ყველა ბავშვს უნდა შეეძლოს ამა თუ იმ ინდიკატორის დამოუკიდებლად, სრულყოფილად შესრულება. უბრალოდ, განსაზღვრული ასაკი ხელს უწყობს მშობელსა და აღმზრდელს, მხედველობაში იქონიონ განვითარების ყველა სფერო და დაეხმარონ ბავშვს მრავალმხრივ განვითარებაში.

შეფასების ფორმა წარმოდგენილია ნიმუშის სახით და აღმზრდელმა ყოველ აღსაზრდელზე ინდივიდუალური ფორმა უნდა შეავსოს.

მეოთხე დოკუმენტი – **„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მართვის გზამკვლევი“** განკუთვნილია ბაღის გამგეებისთვის და დირექტორებისთვის. თავიდან გზამკვლევი პროექტში არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გამგეობის თანამშროლებთან და საბავშვო ბაღების დირექტორებთან გამართული კონსულტაციების შედეგად გაირკვა, რომ ძალიან საჭირო იყო. ბაღების დირექტორები განათლების სამინისტროს სთხოვდნენ შესაბამისი დოკუმენტის მომზადებას.

გზამკვლევი აერთიანებს იმ ძირითად პრინციპებს, რომელთა ცოდნა და გათვალისწინება მნიშვნელოვანია საბავშვო ბაღის სათანადოდ ფუნქციონირებისთვის.

ეს დოკუმენტიც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და იმედი გვაქვს, ხელს შეუწყობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელებს სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის უკეთ წარმართვაში (როგორ აწარმოონ ორგანიზებულად დოკუმენტაცია, რა მოთხოვნები შეიძლება ჰქონდეს თითოეულ თანამშრომელს, რა სამუშაოს უნდა ასრულებდნენ, როგორი უნდა იყოს სამუშაო განრიგი, პროგრამული მოთხოვნები, როგორ უნდა მოხდეს აღსაზრდელის ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.). გზამკვლევში რამდენიმე დანართია, რომელთა შორის, ჩემი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პედაგოგიური პერსონალის შეფასების დოკუმენტი, რომელიც ბევრ კითხვას მოიცავს. კითხვარის დახმარებით, დირექტორი ინიშნავს ამა თუ იმ აღმზრდელის პრობლემებს და მასთან ერთად მუშაობს ამ სირთულეების დაძლევაზე.

ოთხივე დოკუმენტი დიდ დახმარებას გაუწევს სკოლამდელი განათლების სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, ისინი დიდი ხანია ელოდნენ მსგავს დამხმარე მასალას. მაგრამ ერთია მასალის მომზადება და მეორეა – შინაარსობრივად აღმზრდელამდე მიტანა. იმედი გვაქვს, გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად დავგეგმავთ ტრენინგებს. საქმე ისაა, რომ ბევრი მუნიციპალიტეტი მზადაა გაიღოს თანხა ტრენინგებისთვის, უბრალოდ არჩევენ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებსაც ენდობიან. ამ მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რა თქმა უნდა, მეტი წონა აქვს. თუკი მსგავსი ტრენინგები სამინისტროს მხრიდან იქნება ინიცირებული, ისინი მზად არიან, გახდნენ თანამონაწილეები დაფინანსების კუთხით.

ამ დოკუმენტების საფუძველზე უკვე შემუშავებულია 7-თვიანი ტრენინგ-მოდული, რომელიც, იმედია, მომავალში განხორციელდება. ბუნებრივია, სექტემბრამდე ერთდროულად ყველას გადამზადება ვერ მოხერხდება, მაგრამ შეიძლება საპილოტე რაიონები შეირჩეს და იქ განხორციელდეს. ეს ხანგრძლივი პროცესი იქნება, მაგრამ აუცილებლად უნდა დავიწყოთ, მით უმეტეს, როცა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან მზაობა ნამდვილად არის.

*ესაუბრა*

***ლალი თვალაბეიშვილი***

## ინფორმაცია

* * *



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ნოდარ სურგულაძე**, საქართველოში ვიზიტად მყოფ სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრ **არმენ აშოტიანთან** ერთად, თბილისის პირველ ექსპერიმენტალურ სკოლას ეწვია, სადაც სომხეთის მინისტრს და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებს პირველკლასელთათვის განკუთვნილი ახლად აშენებული კორპუსი დაათვალიერებინეს.

სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი განსაკუთრებით დაინტერესდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამით, რომლის თანახმად, ყველა პირველკლასელი სახელმწიფოსგან საჩუქრად ნეთბუქს მიიღებს. ამასთან, დაწყებითი კლასის მოსწავლეები ინგლისურ ენას პირველივე კლასიდან შეისწავლიან.

არმენ აშოტიანმა ინფორმაცია ინტერნეტიზაციისა და სკოლების კომპიუტერებით აღჭურვის თაობაზეც მიიღო, ეს პროცესი, ფაქტობრივად, საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში უკვე დასრულებულია.

* * *



განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **არმენ აშოტიანმა** მოაწერეს.

ხელმომწერი მხარეები მიიჩნევენ, რომ განათლებისა და მეცნიერების დარგში თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი კომპონენტია. შეთანხმების თანახმად, ორი ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები კონტაქტებს გააღრმავებენ და ერთობლივ პროექტებს განახორციელებენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ორივე მხარე ვალდებულებას იღებს, დააფინანსოს სომხეთისა და საქართველოს მოქალაქე 10 სტუდენტის სწავლება კანონმდებლობით აღიარებულ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ღონისძიების ფარგლებში, დიმიტრი შაშკინსა და არმენ აშოტიანს შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა, მოხდა ინფორმაციის გაცვლა ორი ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სფეროებში განხორციელებულ და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სომხეთის მინისტრმა მოინახულა რამდენიმე ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, პირადად გაეცნო სიახლეებს და იმ პროექტებს, რომლებიც რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობს.

* * *



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ისანი-სამგორის რაიონის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რაიონის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები, პარლამენტარი **გიორგი ხასნელიძე**, საკრებულოს დეპუტატები და ადგილობრივი გამგეობის წარმომადგენლები.

მინისტრმა ყველა დასმულ კითხვას ამომწურავი პასუხები გასცა და ისაუბრა განათლების სფეროში განხორციელებულ ცვლილებებზე, მიმდინარე პროექტებსა და მოსალოდნელ სიახლეებზე. ღონისძიების ფარგლებში, შეხვედრის მონაწილეებთან ერთად, 117-ე საჯარო სკოლაში გამართულ საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვასაც გაეცნო.

გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო მესამე მასივის მუნიციპალიტეტებში შემავალი შვიდი საჯარო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრები, თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის **კახა გურულის** ინიციატივით მოეწყო. გამოფენა-გაყიდვიდან შემოსული თანხით გამოიცემა კრებული, სადაც ამ სკოლების მოსწავლეთა საქმიანობა და წარმატებები აისახება, წიგნები საჩუქრად სასკოლო ბიბლიოთეკებს გადაეცემათ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე მისულ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა უშუალოდ მთავრობის წარმომადგენლებისაგან მიელო პასუხი იმ შეკითხვებზე, რომლებიც სხვადასხვა სფეროს, მათ შორის განათლების სისტემაში, მიმდინარე პროცესებს შეეხებოდა.



დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ანალოგიური შეხვედრები რეგიონების მოსახლეობასთან განსაკუთრებული მუხტის მატარებელია. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ყველაზე ობიექტურად სწორედ მოსახლეობა აფასებს, უშუალოდ ხალხისაგან მოსმენილი შეფასებები და რჩევები შემდეგ მომავალ სამოქმედო გეგმებზე აისახება.

დიალოგი ხალხთან მომავალშიც გაგრძელდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ყველა რეგიონს მოინახულებს და კითხვა-პასუხის რეჟიმში მოსახლეობასთან შეხვედრებს გამართავს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა**, სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **არმენ აშოტიანმა** და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ელჩმა **ფილიპ დიმიტროვმა** სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდული პარლამენტის სხდომა გახსნეს.

ღონისძიება ევროკავშირის პროექტის „დემოკრატია იწყება თქვენით“ ფარგლებში გაიმართა და მასში საქართველოსა და სომხეთის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. პროექტის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობის ინფორმირება, თუ რა არის და როგორ მუშაობს დემოკრატია, რისი სწავლება მხოლოდ წიგნებიდან შეუძლებელია.

საქართველოსა და სომხეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებისა და სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ საკითხთამცოდნეობის სკოლის მხარდაჭერით, ორმოცი მოსწავლე საქართველოდან და სომხეთიდან სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდულ პარლმენტში შეიკრიბა.

მონაწილე მოსწავლეები თანაკლასელების მიერ მას შემდეგ შეირჩა, რაც სკოლის დონეზე 4-დღიანი პრაქტიკული დებატები გაიარეს შესაბამის პოლიტიკურ საკითხებზე. ამჟამად, მოსწავლეების ამოცანას ამ პარლამენტში დებატების დროს დასმული საკითხების განხილვა და თანატოლებთან ერთად, საერთო დეკლარაციის შემუშავება წარმოადგენდა. მიღებულ დეკლარაციასბ მოგვიანებითბ ბრიუსელში ევროპულ ინსტიტუტებს წარუდგენენ.

პროექტის პირველ ეტაპში მონაწილეობა აზერბაიჯანის ოცმა სკოლამ მიიღო. სამწუხაროდ, შერჩეულმა მოსწავლეებმა ვერ შეძლეს პარლამენტის სხდომაში მონაწილეობის მიღება.

საგანმანათლებლო კერა

# სასულიერო სემინარია

**ლია გაბუნია**
*ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების კოორდინატორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი*

**გურამ გაბუნია**
*სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერტსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სრული პროფესორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი*



XX საუკუნის 30-იან წლებში აღიძრა საკითხი ქუთაისში სასემინარიო კლასების გახსნის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, თბილისის სემინარიის გამგეობამ, 1830 წლის დასაწყისში, წარუდგინა ეგზარქოს იოანეს შუამდგომლობა, რომელშიც დასაბუთებულია, რომ სიშორისა და სიძვირის გამო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულები თბილისში ჩამოსვლას და ცხოვრებას ვერ ახერხებენ. მაგრამ მხოლოდ ექვსი ათეული წლის ლოდინის შემდეგ მოხერხდა ამ საქმის აღსრულება.

1894 წლის 18 სექტემბერს, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, გაიხსნა ქუთაისის სასულიერო სემინარია. მას ჯერ კიდევ 1872 წელს აღუძრავს საკითხი უწმინდესი სინოდის წინაშე ქალაქ ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის თაობაზე. ეპისკოპოსი ასაბუთებდა დასავლეთ საქართველოში სემინარიის გახსნის აუცილებლობას და მოითხოვდა, თბილისის სემინარიის მსგავსად, ექვსკლასიანი ყოფილიყო და მისთვის ლათინური ენის სწავლების მხოლოდ უფლება დაეტოვებინათ.

1894 წლის 24 მარტს საქართველოს ეგზარქოსმა კიდევ ერთხელ შეახსენა უწმინდეს სინოდს გაბრიელ ეპისკოპოსის განცხადების შესახებ. ამჯერად, *„სინოდის 1894 წლის 19 ივნისის ბრძანებულებით განწესდა: 1. გაიხსნას ქუთაისში სასულიერო სემინარია; 2. სემინარიის ოლქი განისაზღვროს დასავლეთ საქართველოს სამი სასულიერო სასწავლებლით (ქუთაისის, სამეგრელოსა და ოზურგეთის სასწავლებლებით); 3. სემინარია გაიხსნას 1894-95 სასწავლო წელს, დაკომპლექტდეს მისი პირველი კლასი ქუთაისის, სამეგრელოსა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლების კურსდამთავრებულთაგან საკონკურსო გამოცდების წესით; 4. თითოეული კლასის მოსწავლეთა რიცხვი არ უნდა ჭარბობდეს 40-ს, რომელთაგან 20 სარგებლობს სტიპენდიით, იმერეთისა და გურია-სამეგრელოს საეკლესიო ხაზინიდან; 5. სასწავლო საგნების კურსში შეტანილ იქნას ცვლილებები: შემოღებულ იქნას საქართველოს ეკლესიის ისტორია, როგორც განსაკუთრებული საგანი; ლათინური ენის ნაცვლად შესწავლილ იქნეს ბერძნული ენა; 6. მიეცეს სემინარიის ყველა თანამშრომელს უფლება-უპირატესობა, რომელიც დამტკიცებულია 1884 წლის 22 აგვისტოს სასულიერო სემინარიის წესდებით; 7. საქართველოს ეგზარქოსის მიერ მიღებულ იქნეს საჭირო ზომები სემინარიის შენახვისა და მისთვის საკუთარი შენობის ასაგებად, რომელსაც ექნება საერთო საცხოვრებელი, დაახლოებით 240 მოსწავლისათვის; 8. დაევალოს სინოდის სამეურნეო სამმართველოს, გადასცეს საქართველოს ეგზარქატის სამეურნეო განყოფილებას 1000 მანეთი სემინარიის პირველი კლასისა და რექტორის ბინის დასაქირავებლად, 500 მანეთი – საკლასო, საბიბლიოთეკო მოწყობილობისა და ავეჯისათვის და 500 მანეთი – სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების შესაძენად. სულ 2000 მანეთი.“*

ნავარაუდევი იყო, რომ ნაქირავები ბინა მალე საკუთარით უნდა შეცვლილიყო. მიუხედავად ამისა, 1899 წელს კვლავ იქირავეს ორპირის ქუჩაზე მდებარე ორსართულიანი სახლი, რომელიც მიხეილ დარახველიძეს ეკუთვნოდა. სანიმუშო საბაზო სკოლაც კი ნაქირავებ ბინაში გახსნეს – ბალის ქუჩაზე, ფარნაოზ კაცაძის სახლში.

1903 წელს კვლავ განახლდა საკუთარი შენობისათვის ზრუნვა. იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა, საქართველოს ეგზარქოსის შუამდგომლობით, აღძრა საკითხი სინოდთან. 1904 წელს გადაწყვიტეს, სემინარიისათვის ახალი შენობა აეგოთ. შეარჩიეს ადგილიც – თბილისის ქუჩაზე, იქ, სადაც შემდეგში 26 კომისრის სახელობის კინოთეატრი იყო აგებული. სასულიერო უწყებამ უშუალოდ ამ საქმისათვის თანხა გამოჰყო, ადგილიც შემოღობეს. რამდენიმე თვეში მშენებლობაც უნდა დაწყებულიყო, მაგრამ არეულობის გამო სემინარია დაიხურა და, რა თქმა უნდა, ამ ფაქტის გამო სემინარიისათვის შენობის აგების საქმეც საბოლოოდ ჩაიშალა.

ამგვარად, სასულიერო სემინარია საკუთარ შენობას ვერ მოესწრო, ისე დაიხურა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სემინარიის მოსწავლეები ძირითადად გახდნენ ქუთაისის, სამეგრელოსა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელთა კურსდამთავრებულები. ახალგაზრდები საკონკურსო გამოცდებით ირიცხებოდნენ სემინარიის პირველ კლასში. ხდებოდა სხვა ჯგუფების შევსებაც. თბილისის სასულიერო სემინარიის ახალგაზრდები, რომელთაც რაიმე მიზეზის გამო აღარ სურდათ იქ სწავლა, ქუთაისში გადმოდიოდნენ. თბილისის სასულიერო სემინარიის მესვეურნი ამ ფაქტით ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ.

სემინარიის პირველ კლასში მისაღები მოსწავლის ასაკი მტკიცედ იყო განსაზღვრული – ის აუცილებლად 13 წლის უნდა ყოფილიყო. თუ რამდენიმე თვით იქნებოდა „ასაკგადაცილებული“, მაშინ სინოდს უნდა გადაეწყვიტა მისი მიღება-არმიღების საკითხი.

სასულიერო სემინარიის ოთხი კლასი საშუალო განათლებას აძლევდა მოსწავლეებს. მე-5 და მე-6 კლასებში კი საღვთისმეტყველო სპეციალურ განათლებას ღებულობდნენ.

სემინარიაში, ყოველი მეოთხედის ბოლოს, დაწესებულ გამოცდებს საგნის მასწავლებლები იბარებდნენ. წლის ბოლოს კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები კი უფრო რთულად ტარდებოდა. მას საგამოცდო კომისია იღებდა და „წლიური გამოცდა“ ეწოდებოდა. გამოცდა ყველა საგანში ტარდებოდა. კომისიას ხელმძღვანელობდა სემინარიის რექტორი, ხოლო დამხმარე საგნების კომისიებს – ინსპექტორი ან მასწავლებელი. თუ მოსწავლე მეოთხედურ გამოცდაზე დამაკმაყოფილებელ ნიშანს მიიღებდა ყველა საგანში, მხოლოდ მაშინ დაუშვებდნენ წლიურ გამოცდაზე. წლიური გამოცდების შემდეგ კი ის, ვინც დამაკმაყოფილებელ ნიშანს მაინც მიიღებდა, სპეციალური ბრძანებით შემდეგ კლასში გადადიოდა. ზოგჯერ გამონაკლისსაც უშვებდნენ ხოლმე: თუ მოსწავლეს ერთ ან ორ საგანში არადამაკმაყოფილებელი ნიშანი ექნებოდა, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ენიშნებოდა განმეორებითი გამოცდა. ოღონდ, ეს ხდებოდა არდადეგების შემდეგ, წესდების მე-13 პარაგრაფის შესაბამისად.

სასულიერო სემინარიაში, წლიური გამოცდების შედეგების მიხედვით, მოსწავლეს ენიჭებოდა თანრიგი. სულ სამი სახის თანრიგი არსებობდა. ყველა თანრიგს შეფასების თავისებური კრიტერიუმები ჰქონდა.

პირველი თანრიგი იმ მოსწავლეს მიეკუთვნებოდა, რომელიც ყოფაქცევაში და აკადემიურ წარმატებაში „4“-ზე ნაკლებ შეფასებას არ მიიღებდა, ანდა, მხოლოდ არამთავარ, ერთადერთ საგანში მიიღებდა „3“-ს. მას, ვინც სემინარიას პირველი თანრიგით დაამთავრებდა, ენიჭებოდა „სტუდენტის“ სახელწოდება.

იმ მოსწავლეს, რომელიც ყველა საგანში „3“-ს მიიღებდა, მიაკუთვნებდნენ მეორე კატეგორიას. აქაც შეიძლებოდა, ერთ არამთავარ საგანში „2“-იც ჰქონოდა. ასეთ შემთხვევაში საჭირო იყო მოსწავლეს წარმოედგინა საგნის მასწავლებლის დახასიათება, რომ იგი ჩამორჩა არა სიზარმაცით, არამედ სხვა რამ მიზეზით. სიზარმაცის გამო მოსწავლეს საერთო საცხოვრებლიდანაც აძევებდნენ. ეს, თავისთავად, არ იყო ურიგო, თუ მართლაც ზარმაცს დაერქმეოდა ეს სახელი. მაგრამ ხშირად ამ „წმენდის“ მსხვერპლნი მოაზროვნე ახალგაზრდებიც ხდებოდნენ. ასეთ მოსწავლეებს ან გარიცხავდნენ, ან იმავე ჯგუფში დატოვებდნენ.

დიდი ყურადღება ექცეოდა ინსპექტორის მიერ დასმულ ნიშნებს ყოფაქცევაშიც. როგორც ყოველთვის, იგი აქაც არ იცავდა ობიექტურობას და ყოველნაირი ხერხით ცდილობდა, სემინარიელებისათვის დაბალი ნიშანი დაესვა.

როგორც თბილისის სემინარიაში, ასევე ქუთაისშიც, სტიპენდია ერთ მოსწავლეზე უნდა გაცემულიყო 125 მანეთი წელიწადში და ასეთი 20 სტიპენდიანტი უნდა ყოფილიყო. საერთოდ, წელიწადში დაახლოებით 15 ათას მანეთს ხარჯავდნენ სტიპენდიებისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ სასულიერო წრიდან გამოსულ ბავშვებს ეხებოდა.

სასულიერო სემინარიის არსებობის ბოლო წლებში დაწესებული ნორმებიც დაირღვა. 41 მოსწავლე აიყვანეს ხაზინის ხარჯზე, თუმცა უფრო მეტის აყვანა იყო გათვალისწინებული. მათთვის სემინარიას დაქირავებული ჰქონდა საცხოვრებელი ბინებიც. მოსწავლეებს უზრუნველყოფდნენ უფასო კვებით, საწოლითა და ტანსაცმლით. მაგრამ ეს წესი არც თუ მთელი სიზუსტით სრულდებოდა. საარქივო მასალებში ბევრი საპროტესტო განცხადებაა მოსწავლეებისა თუ მათი მშობლების მიერ დაწერილი, რითაც ნათელი ეფინება იქ გაბატონებულ განუკითხაობას.

თავდაპირველად სემინარიაში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: 1. საღვთო წერილი, 2. რუსული სიტყვიერება, 3. ლათინური ენა, 4. სამოქალაქო ისტორია, 5. მათემატიკა, 6. ქართული ენა, 7. სლავური გალობა, 8. ქართული გალობა. კვირაში სულ 58 საათით იყვნენ დატვირთულნი. ამ საგნებიდან ყველაზე დაჩაგრული ქართული ენა იყო. მას მხოლოდ 2 საათი ჰქონდა დათმობილი კვირაში.

სემინარიაში მოსწავლეთა მიღების რაოდენობრივი ნორმები ყოველ წელს ირღვეოდა. დებულების მიხედვით, მხოლოდ 40 მოსწავლე უნდა მიეღოთ. მათი რიცხობრივი ზრდა, ძირითადად, 1901 წლამდე გრძელდებოდა. შემდეგ მათი რაოდენობა ნელ-ნელა შემცირდა.

1894-1895 სასწავლო წელს მიიღეს 50 მოსწავლე, 1895-1896 სასწავლო წელს – 94, 1896-1897 სასწავლო წელს – 114, 1897-1898 სასწავლო წელს – 153, 1898-1899 სასწავლო წელს – 180, 1899-1900 სასწავლო წელს – 204, 1900-1901 სასწავლო წელს – 202, 1901-1902 სასწავლო წელს – 198, 1902-1903 სასწავლო წელს – 178, 1903-1904 სასწავლო წელს კი – 166 მოსწავლე.

აქედან სემინარიას მხოლოდ ოთხი გამოშვება ჰქონდა. აკადემიური წარმატების მიხედვით მოსწავლეებს ენიჭებოდათ თანრიგი. პირველთანრიგოსნები ღებულობდნენ „ატესტატს“, ხოლო მეორე თანრიგოსნები მხოლოდ „მოწმობას“. თანრიგის მიკუთვნებაში გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა აკადემიურ წარმატებებს საღვთისმეტყველო დისციპლინებში.

პირველი გამოშვება 1900 წლის პირველ ივნისს შედგა. სულ სემინარია 29 ახალგაზრდამ დაასრულა, მათ შორის მეორეთანრიგოსანი მხოლოდ 4 კურსდამთავრებული იყო. მაგრამ მათაც თხოვნით მიმართეს საქართველოს ეგზარქოსს განმეორებით დაეშვათ გამოცდებზე, რათა მიეღოთ პირველი თანრიგი, ე. ი. „ატესტატი“. ნებართვის შემდეგ ჩატარდა გამოცდები და ეს ოთხი მოსწავლეც პირველი თანრიგის მფლობელი გახდა.

მორიგი, მეორე გამოშვება მოხდა 1901 წელს. პირველი თანრიგით სემინარია დაამთავრა და „ატესტატი“ მიიღო 14 ახალგაზრდამ, მეორე თანრიგით – 13-მა, სულ – 27-მა ახალგაზრდამ.

მესამე გამოშვება 1902 წელს შედგა. სემინარიის სრული კურსი დაამთავრა 26-მა მოსწავლემ. „ატესტატი“ მიიღო 11-მა, ხოლო 15-მა მხოლოდ „მოწმობა“. კურსდამთავრებულთა მორიგი, მეოთხე გამოშვება 1904 წელს მოხდა.

ამ ოთხი გამოშვებით დასრულდა სასულიერო სემინარიის ისტორიის პირველი, ძირითადი ეტაპი. სემინარიამ სულ 116 ახალგაზრდას მისცა სრული სასულიერო განათლება. მაგრამ თანრიგის მიხედვით „ატესტატი“ მხოლოდ 73-მა მიიღო. ცხადია, ამით არ ამოწურულა სასულიერო სემინარიის ღვაწლი. აქ სხვადასხვა დროს 1550-ზე მეტი სემინარიელი სწავლობდა.

მიუხედავად ზოგიერთი უარყოფითი გავლენისა, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი სასულიერო სემინარიაში, იგი მაინც რჩებოდა ქრისტიანული სარწმუნოების თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად დასავლეთ საქართველოში. ამასთან ერთად, სემინარია პედაგოგიური განათლებისა და კულტურის ერთი უმნიშვნელოვანესი კერაც იყო ჩვენს ქვეყანაში.

სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სემინარიის კეთილმოწყობას, სკოლის ხელმძღვანელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა კონტინგენტის შერჩევას, სახელმძღვანელოთა შედგენასა და თარგმნას...

სასულიერო სემინარიის არსებობის ბოლო წლებში სამღვდელოებამ ხელი აიღო მის შენახვა-პატრონობაზე. სასწავლო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუარესებამ, დახავსებულმა პროგრამამ, არაპროფესიონალიზმმა, თითქოს მხოლოდ „სამღვდელოდ“ ჩამოყალიბების მცდელობამ, ზოგადი განათლების უკანა პლანზე გადაწევამ, ადამიანური ნიჭის ჩაკვლის მიზანმიმართულმა ცდებმა, თავისი უარყოფითი შედეგებიც მალე გამოიღო.

ქრისტიანულ სარწმუნოებას საქართველოში სწორედ რომ დათვური სამსახური გაუწია მეფის რუსეთის რეაქციულმა ძალებმა. ისინი გეგმაზომიერად ცდილობდნენ ძველი, ტრადიციული სარწმუნოება კი არ შეეყვარებინათ დამონებული ქვეყნების ახალგაზრდებისათვის, არამედ შეეძულებინათ და ამით სწორი გზიდანაც აეცდინათ ისინი. ერთ-ერთი ინსტრუქციის მითითებით, მოსწავლეებს ერთმანეთთან მხოლოდ რუსულად უნდა ესაუბრათ. ურთულესი დოგმატური ფრაზების დაზეპირებით, გულისგამაწვრილებელი დესპოტური რეჟიმით, გაუგონარი მასშტაბის დაბეზღებებით, ყველაფერი ადამიანურის აკრძალვით, ქართული ენისა და კულტურის სასტიკი დევნით, საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორიის აშკარა უპატივცემულობითა და უგულვებელყოფით აქ სწავლა ახალგაზრდებისათვის სულის წვრთნისა და ცოდვათა განწმენდის საშუალება კი არ იყო, არამედ ტანჯვა-წამება. აქედან გამომდინარე, სასულიერო სემინარია თავის თავდაპირველ, კეთილშობილურ ფუნქციას სრულად ვერ ასრულებდა. ის მიზანი, რაც მისი გახსნისას გაბრიელ ეპისკოპოსს ჰქონდა, თანდათან კარგავდა თავის პირვანდელ დანიშნულებას. ამან საზოგადოებაში ხელისუფლებისა და მისი „ინსტიტუტებისადმი“ უკმაყოფილებისა და უნდობლობის ახალი, ფეთქებადსაშიში ატმოსფერო დაამკვიდრა.

გაგრძელება იქნება

ქართველები უცხოეთში

# ერთი ემიგრანტის ცხოვრება





გაზეთ „ახალი განათლების“ საშუალებით გავიგე, რომ 170-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები ახორციელებენ პროექტს (პროექტის ხელმძღვანელი – **ქეთევან ქიქოძე**) „მეორე თაობის ემიგრანტები“. მაქვს სურვილი ჩავერთო ამ პროექტში.

მე გავეცანი ბატონ **ნიკო თოფურიას** განვლილ გზას საქართველოდან ამერიკამდე. მასალა მოვიძიე ბატონი ნიკო თოფურიას ძმისშვილების დახმარებით.

1918 წლის 15 დეკემბერს, მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში, დომენტი და დონია თოფურიების ოჯახში, დაიბადა ვაჟი, რომელსაც დიდი ბაბუის პატივსაცემად ნიკოლოზი დაარქვეს.

თოფურიების წინაპრები ხუნწში ქალაქ აბაშიდან ჩამოსახლებულან. აღსანიშნავია, რომ მეგრული სიტყვა „თოფური“ ქართულად თაფლს ნიშნავს.

1937 წელს, თბილისის 32-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, **ნიკო თოფურიამ** გადაწყვიტა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე ჩაებარებინა. 1938 წელს ჩაირიცხა კიდეც უნივერსიტეტში. საგანი, რომელსაც „თვალით უხილავის გონებით ხილვა სჭირდება“, ძალიან უყვარდა.

სტუდენტობის მეორე წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. 1941 წლის სექტემბერში ჯარში გაიწვიეს, დეკემბრიდან როსტოვის ფრონტზე იბრძოდა ცხრა თვე.

1942 წლის სექტემბერში, კავკასიაში, ყუბანის სადგურ „გარიაჩი კლუჩის“ მიდამოებში ბრძოლისას ფეხში დაიჭრა. ამ ფაქტს ბატონი ნიკო ასე იხსენებს: ნაღმმტყორცნელთა ნაწილში ზურგით პატარა ზომის ნაღმმტყორცნები უნდა ეტარებინათ, თოფი ხან ჰქონდათ, ხან – არა. ერთ-ერთი ბრძოლისას გერმანელებს მოულოდნელად წააწყდნენ. მათ ტყვიები დაუშინეს, ნიკოს ტყვია ფეხში მოხვდა და ტერფი დაუზიანა. გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, გერმანელების ხმაური გაიგო. მიხვდა, რაშიც იყო საქმე და შიშისგან იქვე გაშეშდა. გერმანელი თავზე დაადგა და წასვლა უბრძანა. ბატონმა ნიკომ ხტუნვა-ხტუნვით მიაღწია ადგილს, სადაც გერმანელმა მიუთითა. გერმანელებმა იგი დამხმარე პუნქტში მიიყვანეს, ჭრილობა შეუხვიეს და წითელი ჯვრის ავტომობილით, დაჭრილებთან ერთად, კრასნოდარში წაიყვანეს. იქ დაჭრილი გერმანელები საავადმყოფოში დააწვინეს, ხოლო ტყვეები ბანაკში გაანაწილეს. მათი დღიური ულუფა ხორბლის ბურღულის ნახარში და ორი ნაჭერი პური იყო.

მიუხედავად ყველაფრისა ბატონი ნიკო მადლიერი იყო ბედის, რადგან ცოცხალი გადარჩა. გაზაფხულზე სამუშაოდ ბატალიონში გაგზავნეს, რომელიც ქართველი და აზერბაიჯანელი ტყვეებისგან შედგებოდა. სამუშაოდ წასვლა მისთვის ბედნიერება იყო, რადგანაც მინდორში კარტოფილს ან სიმინდის ტაროს პოულობდა ან ვინმე ღვთისნიერი სახლიდან საკვებს გამოუტანდა.

1942 წელს ფრონტის ხაზზე ნაღმი აფეთქდა, ნიკო მარჯვენა ფეხში დაიჭრა და როსტოვის საავადმყოფოში მოხვდა, საიდანაც კრაკოვში გადაიყვანეს. აქ გაიცნო გერმანელი ჯარისკაცი, რომელმაც სანიტრად მუშაობა შესთავაზა.

შიმშილმა და აუტანელმა პირობებმა ნიკო და მასთან მყოფი ქართველები იძულებული გახადა, მოხალისეთა არმიაში ჩაწერილიყვნენ, თუ გერმანელები საქართველოში შევიდოდნენ, ამ მოხალისეებს უნდა დაეცვათ საქართველოს ინტერესები.

ომი უკვე დამთავრებული იყო, ტყვეობიდან გაქცეულმა ბატონმა ნიკო თოფურიამ თავი იტალიელი პარტიზანების ბანაკს შეაფარა, სადაც დაახლოებით სამი თვე დაჰყო. მოგვიანებით, ბანაკი დაიშალა. ნიკომ იტალიაში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა, რომელიც მიიღო კიდეც. მშვიდობიან პერიოდში საჭირო გახდა საარსებო ლუკმაპურის შოვნა. მუშაობდა საწყობში მტვირთავად, სადაც საჭმელი უფასო იყო და შეეძლო ფულის დაზოგვა.

ამ პატარა ქალაქში მას უკვე ყველა იცნობდა. ზოგი „ჯორჯიანოს“ ეძახდა,ზოგი – „რუსოს“, ზოგი კი – „ნიკოლას“.

სამშობლოში დაბრუნების მოლოდინში ბატონმა ნიკომ ბევრი გაჭირვება გადაიტანა, თუმცა მეგობრებიც შეიძინა. ერთ დღეს, ქალაქში ნაცნობი სომეხი შეხვდა, რომელმაც ქართველი ექიმი **გრიშა ოთარაშვილი** გააცნო. მისგან შეიტყო, რომ შესაძლებელი იყო ამერიკაში ემიგრირება.

1951 წელს ამერიკაში ჩავიდა. სათვისტომოს იმჟამინდელი თავმჯდომარე **ლეო დუმბაძე** და ქალბატონი **ელზა ცომაია** მას მხარში ამოუდგნენ.

ნიუ-იორკის გარეუბანი – კოლეჯ პოინტი 50-იან წლებში ქართველების საცხოვრებელი ადგილი გახდა. აქ ფუნქციონირებდა ქარხანა, სადაც ქაღალდის ჭიქებს ამზადებდნენ. გასამრჯელო დიდი არ იყო, თუმცა დამატებითი საათებით შესაძლებელი იყო კარგი თანხის მიღება. ამ ქარხნის დირექტორი, ბატონი **თევდორე გაბელაია** პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ემიგრანტი იყო. ქარხანაში 1500 კაცი მუშაობდა. დღეში 10 მილიონი სხვადასხვა ზომის ქაღალდის ჭიქა მზადდებოდა. ეს იყო მძიმე შრომა. თუმცა, დაშინებული ადამიანებისთვის მუდმივ სამუშაოს უზრუნველყოფდა. ქარხანაში იტალიელი ემიგრანტებიც მუშაობდნენ, ისინი ქართველებს ინგლისური ენის შესწავლაში ეხმარებოდნენ.

ნიუ-იორკში ჩამოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ნიკო თოფურია თბილისში დაბადებულ ქალბატონ **ელისაბედ რამიშვილზე** დაქორწინდა. იგი **ნოე რამიშვილის** ნათესავი გახლდათ.

ელისაბედი კარგი მეოჯახე გამოდგა. მათ გოგონა, ნინო შეეძინათ. რომელსაც სამი ბიჭი ჰყავს – ბილი, ნიკო და დენი.

ბატონმა ნიკომ თავისი სახლის პირველი სართული **მიტო სინჯიკაშვილს** – გაზეთის „ქართული აზრი“ რედაქტორს დაუთმო. თვითონ კი ამ გაზეთის ექსპედიტორი იყო. გაზეთების ორიგინალები დღესაც ინახება ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის განყოფილების არქივსა და საჯარო ბიბლიოთეკაში.

1969 წელს ნიკო თოფურია ქართული სათვისტომოს მდივნად აირჩიეს.

როგორც ყველა ემიგრანტის, მისი ოცნებაც სამშობლოს ნახვა იყო და 1996 წელს, 76 წლის ასაკში, 55-წლიანი განშორების შემდეგ, ნიკო თოფურია საქართველოში ჩამოვიდა. ქართულად მოსაუბრე ადამიანების ნახვა, საკუთარ ოჯახში დაბრუნება მისთვის ხელახლა დაბადების ტოლფასი იყო.

თბილისში ბატონმა ნიკომ მოინახულა მშობლიური უნივერსიტეტის ეზო, ქიმიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, თბილისის ნაცნობი და უცნობი ადგილები.

განსაკუთრებით მტკივნეული იყო მშობლიურ სოფელში ჩასვლა. ქალაქი მარტვილი, სოფელი ხუნწი, მდინარე ნოღელა, მეგრული ოდა... ნიკოს თვალწინ დაუდგა ბავშვობის წლები, დედა, რომლის გარდაცვალებაშიც საკუთარ თავს ადანაშაულებს და რომელსაც დიდი სიყვარულით იხსენებს.

მოგვიანებით, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე ისევ ნიუ-იორკში გაემგზავრა და ქართველთა სათვისტომოსთან ერთად დღესაც, 92 წლის ასაკში, საქართველოზე ფიქრით ცხოვრობს.

2010 წლის ივლისში, ქალიშვილთან – ნინოსთან და შვილიშვილ ნიკოსთან ერთად, საქართველოს მეორედ ეწვია და ისევ დიდი სიყვარულით დამუხტული, თვალცრემლიანი გაემგზავრა მეორე სამშობლოში.





*კესო სანიკიძე*
*X კლასი, დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი*

ახალი წიგნები

# „ვითარცა მორიგი სამკაული“

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ახალი წიგნის „გულის ქისაში ნადები“ პრეზენტაცია. წიგნის ავტორი გახლავთ ფილოლოგიის დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი, „საქწიგნის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, ბატონი **რეზო ჭიჭინაძე**.

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თანათავმჯდომარემ, ამ ღონისძიების სულისჩამდგმელმა და ინიციატორმა **ნანა ჭიჭინაძემ** ასოციაციის წევრების სახელით მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის იქ შეკრებილ საზოგადოებას. მან მოკლე ანოტაცია გააკეთა წიგნის შესახებ და დასძინა: „დავლოცოთ ეს ახალი წიგნი ვითარცა მორიგი სამკაული და სამშვენისი მაღალაზროვანი ქართული საწიგნობელისა“.

რეზო ჭიჭინაძის ბიოგრაფიაზე და შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრეს: მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა **ნინო პოპიაშვილმა**, მუზეუმის დირექტორმა **ლია ბაიდოშვილმა** და **მარინა ბაგაშვილმა**; საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ასოციაციის წევრები: **გოჩა ბროლაძე**, **ნათია ფიროსმანაშვილი**, მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი **ლალი მანგოშვილი** და მწერალთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტი **ჯუმბერ უთრუთაშვილი**. საინტერესო გახლდათ კულტურის მუშაკთა პროფკავშირის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის **ნელი გობეჯიშვილის** საუბარი. მან აღნიშნა: „არაერთხელ შევხვედრივარ ყვარელში და-ძმას, დოდო და რეზო ჭიჭინაძეებს, ორივე გამორჩეული, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი იყო. ამ წიგნის პროექტის ავტორი, რეზოს მეუღლე, ქალბატონი **ბაბო მიქელაძე**, ქართველი ქალობის, კეთილშობილებისა და კდემამოსილების ნამდვილი ეტალონია, რეზოს სიკვდილის შემდეგ სწორედ მისი ძალისხმევით გამოიცა ეს წიგნი, რომელიც თავის მრავალრიცხოვან მკითხველს აცნობს ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილის ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებს“.

პრეზენტაციას სპეციალური მოწვევით ესწრებოდნენ სოფელ წითელწყაროს საჯარო სკოლის (დირექტორი – **ლალი მენთეშაშვილი**) ქართული სექტორის XI კლასის მოსწავლეები: **ნათია ალადაშვილი**, **არსენ ყოჩიაშვილი**, **იმედა ხაჩიაშვილი**, **სოსო** და **გიორგი გიგაურები**, კლასის ხელმძღვანელის **დონარი ოზბეთელაშვილის** ხელმძღვანელობით. მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხი გასცეს ასოციაციის წევრებმა.

პრეზენტაციას დიდ ხიბლს მატებდა დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლის **მალვინა ისმაილოვას** მიერ ვიოლინოზე შესრულებული კლასიკური ნაწარმოებები (პედაგოგი – **თამარ კიკილაშვილი**).

პრეზენტაცია ჩატარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის, შპს „საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების“ დირექტორის, მწიგნობართა ასოციაციის რაიონული ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარის **ვანო ნატროშვილის** პატრონაჟით.

*მარიკა პოპიაშვილი*

# აზროვნების მრავალფეროვნება

ალბათ, ხშირად გსმენიათ, რომ უნიჭო ბავშვი არ არსებობს. ბავშვის ნიჭის ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში გამოვლენა კი მისი პიროვნების სრულყოფილი განვითარებისა და შემოქმედებითი თვითრეალიზაციის საწინდარია.

გაიხსენეთ ცნობილი პიროვნებები: მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები, სპორტსმენები, მსახიობები, რომელთაც მათი ნიჭიერების გამო სცემთ პატივს. შემდეგ კი, გაიხსენეთ თქვენი ბავშვობა და მოსწავლეობის ხანა. გახსოვთ ის პატარა ბიჭუნა, რომელიც უკანა მერხზე მჯდომი, კოსმოსურ რაკეტებსა თუ გემებს ხატავდა? ანდა, ის გოგონა, რომელიც ფიზკულტურის გაკვეთილზე ყველაზე სწრაფად ახერხებდა თოკზე აცოცებას? ალბათ, ყველას გყოლიათ კლასელი, რომელიც მასწავლებლებს აჯავრებდა და მთელ კლასს გამხიარულებდათ; ანდა, ჩაფიქრებული მეგობარი, რომელიც, თითქოს, ღრუბლებში დაფრინავდა და თვითანალიზით გატაცებულს ამქვეყნიური ამბები არც აინტერესებდა.

ამერიკის განათლების სისტემა მოსწავლეთა ინტელექტუალურ მონაცემებს ინტელექტუალური კოეფიციენტის ტესტის მიხედვით აფასებს, მაგრამ არის თუ არა ეს ტესტი ერთადერთი გზა ბავშვის გონებრივი შესაძლებლობების შესამოწმებლად?

ინტელექტუალური კოეფიციენტის ტესტით პიროვნების მხოლოდ მათემატიკური, ლინგვისტური და ლოგიკური შესაძლებლობები მოწმდება, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის ბავშვის ნიჭიერების საუკეთესო ინდიკატორი.

ადამიანის აზროვნების მრავალმხრივი მონაცემების თეორიის ფუძემდებელია ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰოვარდ გარდნერი. ამ თეორიის თანახმად, მრავალი გზა არსებობს იმისათვის, რომ ჩავწვდეთ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მონაცემებს, შინაგან სამყაროს. ყველა ჩვენგანს განსხვავებული გონებრივი შესაძლებლობები და აზროვნების თავისებური სტილი აქვს. მათი კომბინაცია კი, გავლენას ახდენს სწავლების, მასალის ათვისების პროცესზე.

გთავაზობთ ამა თუ იმ სტილის აზროვნების მქონე ბავშვისთვის დამახასიათებელი თავისებურებების აღწერას, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ სფეროში თანდაყოლილ ნიჭთან.

## ლინგვისტური მონაცემები

ლინგვისტური მონაცემებით დაჯილდოებული ბავშვები სამყაროს უკეთესად აღიქვამენ სიტყვების საშუალებით. მათ უყვართ კითხვა და სიამოვნებით წერენ თემებს; მეტყველებენ ექსპრესიულად, უყვართ გამოცანები და სხვა მსგავსი თამაშები. დაინტერესებულები არიან უცხო ენის შესწავლით, აქვთ კარგი მეხსიერება. მათ ხშირად ნათლავენ „ჭორიკნებად". კითხულობენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებათ, წერენ გასაგებად და ადვილად ითვისებენ ყველაფერს, რაც ლიტერატურასთანაა დაკავშირებული. მათი უმეტესობა ირჩევს ჟურნალისტის, მთხრობელის, მოსამართლის, ადვოკატის პროფესიას ან ლიტერატურულ საქმიანობას.

## ვიზუალური მონაცემები

ბავშვებს, რომლებიც კარგი ვიზუალური მეხსიერებით გამოირჩევიან, სამყაროს ვიზუალური აღქმა და სივრცეში კარგი ორიენტაცია ახასიათებთ. უყვართ ასაწყობი სათამაშოები, სამგანზომილებიანი ნახატები. ყველაფერს წარმოსახვის საშუალებით იმახსოვრებენ და კარგად ერკვევიან რუკებში. ადვილად ახდენენ ვიზუალურ-სივრცობრივი სამყაროს სხვადასხვა ასპექტის აღქმასა და შეცვლას. ახასიათებთ ცოცხალი და სწრაფი წარმოსახვის უნარი. თავიანთ იდეებს ნახატების, ნახაზებისა თუ ესკიზების საშუალებით გამოხატავენ. მათი უმეტესობა შემდგომში არის კარგი არქიტექტორი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, მფრინავი, მხატვარი, ფოტოგრაფი და სხვ.

## ურთიერთობების ნიჭი

ურთიერთობების სწრაფად დამყარების ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს ჯგუფური მუშაობა და თამაშობანი უყვართ. ამჟღავნებენ ლიდერის თვისებებსა და დიპლომატიურ ნიჭს. სხვადასხვა პროგრამების შედგენა უყვართ. ისინი პასუხისმგებლობას გრძნობენ სხვათა განწყობის, წარმატებების და ა. შ. გამო. მათთვის მნიშვნელობა აქვს ახლობლების სულიერ მდგომარეობას. ადვილად ხვდებიან სხვათა აზრებსა და ჩანაფიქრს. თითქოს, „სხვის ტყავში შეძრომა" შეუძლიათ, რათა სხვისი თვალით დაინახონ სამყარო. ხშირად ხდებიან წარმატებული მასწავლებლები, პასუხისმგებელი პირები, ადმინისტრატორები, პოლიტიკური ლიდერები.

## საკუთარ თავზე ორიენტირებულები

ასეთ ბავშვებს ნებისმიერი საკითხის შესახებ საკუთარი აზრი აქვთ. მტკიცედ იცავენ საკუთარ შეხედულებებს, მრწამსს, გრძნობებს და ძნელად ემორჩილებიან სხვათა გავლენას. უყვართ მარტო მუშაობა და ძლიერი თვითმოტივაციის უნარი აქვთ. ყოველთვის სჭირდებათ იმის ცოდნა, თუ რატომ აკეთებენ ამა თუ იმ საქმეს და რისთვის არის აუცილებელი ამა თუ იმ საგნის შესწავლა. კარგად ერკვევიან საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებში. ადვილად იღებენ ნებისმიერ გამოწვევას. ეხერხებათ როგორც საკუთარი, ისე სხვათა ემოციური მდგომარეობის განსაზღვრა. ახასიათებთ თვითანალიზი. არიან დამოუკიდებელნი და დისციპლინირებულნი.

ხშირად ირჩევენ ფსიქოლოგის, თეოლოგის, თარჯიმნის, მრჩევლის, მთარგმნელის პროფესიას.

## მუსიკალური მონაცემები

ასეთი ბავშვები სამყაროს უკეთესად აღიქვამენ რითმისა და მელოდიის საშუალებით. მათთვის მუსიკა აზრების გადმოცემის საუკეთესო საშუალებაა. აქვთ კარგი სმენა, ადვილად იმახსოვრებენ ამა თუ იმ მელოდიას, აქვთ რიტმის გრძნობა, მღერიან ან უკრავენ ინსტრუმენტზე, სამუშაოზე უკეთესად ახდენენ კონცენტრირებას მუსიკის ფონზე და უყვართ პოეზია. სმენით შეუძლიათ გამოიცნონ ესა თუ ის ინსტრუმენტი მელოდიის მოსმენისას.

ეს ბავშვები ხშირად ირჩევენ პიანისტის, მომღერლის პროფესიას ან არიან კომპოზიტორები, პოეტები, როკ-ვარსკვლავები, მუსიკის მასწავლებლები.

## მათემატიკური და ლოგიკური მონაცემები

ამ ნიჭით დაჯილდოებულები სამყაროს მიზეზ-შედეგობრიობის პრინციპიდან გამომდინარე აღიქვამენ. მათ უყვართ, როდესაც ნივთები თავ-თავიანთ ადგილზეა და ვერ იტანენ არეულობას, ვერ ეწყობიან არაორგანიზებულ ადამიანებს. ყველაფერს, შეძლებისდაგვარად, ინსტრუქციის მიხედვით ასრულებენ. პრობლემის გადასაჭრელად მაქსიმალური ინფორმაციის მოპოვებას ცდილობენ. სწრაფად ანგარიშობენ. მათ ახასიათებთ საგნებისა და მოვლენების ღრმა წვდომა, ყველაფრისადმი რაციონალური მიდგომა, სხვადასხვა ჰიპოთეზისა თუ თეორიის შექმნა. მათთვის ზედგამოჭრილია სამეცნიერო საქმიანობა, ბუღალტრის, კომპიუტერული პროგრამისტის ან მათემატიკოსის პროფესია.

## სპორტული მონაცემები

სპორტული მონაცემების მქონე ბავშვები მუდმივად მოძრაობაში არიან. როგორც წესი, მშობლებს ძალზე უჭირთ მათი ერთ ადგილზე გაჩერება გარკვეული დროით. უყვართ ცხოველები და სჯერათ, რომ გარე სამყაროში არსებული მოვლენები ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. მათი საყვარელი საგანია ფიზკულტურა და ზოგჯერ, ბიოლოგიაც. უყვართ ცეკვა, მისდევენ სპორტის რომელიმე სახეობას. კარგად ეხერხებათ საკუთარი სხეულის მოძრაობის კონტროლირება და ძალზე მოქნილები არიან. ყველაფერს აღიქვამენ შეხებით. ხშირად მიყვებიან სპორტს ან ირჩევენ ქირურგის, მექანიკოსის, მქსოველის, მოდელიორის, მზარეულის პროფესიას.

* * *

იმედია, ზემოთ მოყვანილი დახასიათებები მეტ-ნაკლებად შეგიწყობთ ხელს, დაადგინოთ თქვენი ბავშვის ბუნებრივი მონაცემები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბავშვი, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება, ორ ან მეტ სფეროში იყოს ნიჭიერი. ეს კი, მისი აზროვნების სტილზეც მოქმედებს. ალბათ, დაგაინტერესებთ, როგორ შეიძლება ამ მონაცემების განვითარება. მაგალითად, ვისაუბროთ იმ ბავშვებზე, რომლებიც ლიტერატურული ნიჭით არიან დაჯილდოებულნი.

## ლინგვისტური მონაცემები

ვის არ უყვარს საინტერესო ამბის, კარგი ანეკდოტის მოსმენა ან კარგი მოთხრობისა თუ ლექსის წაკითხვა? თუ თქვენი ბავშვი ინტერესით ისმენს თქვენს ნაამბობს, თავადაც გატაცებით გიყვებათ რამეს და, ამასთანავე, მონათხრობს თავისი ფანტაზიითაც ალამაზებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ლიტერატურული ნიჭი აქვს. დოქ. თომას ამსტრონგი, ავტორი წიგნისა „აზროვნების 7 სახე: განსაზღვრეთ და განავითარეთ თქვენი მრავალმხრივი მონაცემები" წერს, რომ ლინგვისტური მონაცემები ყველაზე უნივერსალურია სხვა მონაცემთა შორის. დი დიკინსონის აზრით (სწავლება და სწავლა მრავალმხრივი აზროვნების მიხედვით), ასეთ ბავშვებს უყვართ სხვადასხვა ისტორიების შეთხზვა, გამოცანები, კროსვორდები, სიტყვათა თამაში ან უბრალოდ, საუბარი. მათთვის დამახასიათებელია სიტყვათა სემანტიკური მნიშვნელობისა და სტრუქტურის ადვილად წვდომა და დამახსოვრება. მათთვის გართობის, პროტესტის გამოხატვის, პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალება საუბარია.

იმისათვის, რომ თქვენს ბავშვს ლიტერატურული ნიჭი განუვითაროთ, ხშირად წააკითხეთ ახალი გამოცანები, მიეცით ამოსახსნელად კროსვორდები და რებუსები, რაც მთავარია, მისთვის საინტერესო ლიტერატურა. ლინგვისტური აზროვნება ყველაზე ფასეულია ჩვენი საზოგადოებისთვის და სწავლების პროცესშიც ძირითად როლს ასრულებს. ბავშვმა არ უნდა იგრძნოს თქვენგან ზეწოლა. „ყველაფერი, რასაც თქვენ ბავშვთან ერთად აკეთებთ, იქნება ეს კითხვა, მოთხრობისა თუ ლექსის დასწავლა და სხვა, არ უნდა ხდებოდეს სტრესის ქვეშ. ეცადეთ, ბავშვთან ყოველთვის ცოცხალი, მისთვის საინტერესო საუბარი აწარმოოთ" – წერს დიკინსონი.

ერთად მოიგონეთ სხვადასხვა ისტორიები და მოთხრობები. ჩაწერეთ მის მიერ მოგონილი ამბები. ბავშვის შემოქმედებითი ფანტაზიის განსავითარებლად დაიწყეთ რაიმე ისტორიის მოყოლა და სთხოვეთ, დაასრულოს თავისი სურვილისამებრ. უფროსი ასაკის ბავშვებს ურჩიეთ, წერონ დღიურები. დასაწყისისთვის ჰკითხეთ, რა მოხდა დღეს მნიშვნელოვანი და რის შეცვლას ისურვებდა მომხდარიდან. ეცადეთ, თქვენს დავალებას მასწავლებლის მიერ მიცემული საშინაო დავალების სახე არ ჰქონდეს. „ როდესაც პატარა შემოქმედებითი საქმიანობითაა დაკავებული, ნუ შეუსწორებთ პუნქტუაციასა და სიტყვის გამოთქმისას დაშვებულ შეცდომებს, თუ ამას ბავშვი თავად არ გთხოვთ. დაე, ეს მასწავლებელმა აკეთოს. ყურადღება გაამახვილეთ ყველაზე მთავარზე – მის იდეებზე და წარმოსახვის უნარზე. ეცადეთ, ეს ყველაფერი მისთვის მხიარული თავშესაქცევი იყოს".

## 10 რჩევა მასწავლებელს, როგორ შეაყვაროს მოსწავლეებს ლიტერატურა

1. ლიტერატურის სურვილისამებრ არჩევის საშუალება მიეცით. როდესაც მოსწავლეები თავად ირჩევენ ამა თუ იმ წიგნს წასაკითხად, ყოველთვის ბოლომდე ამთავრებენ;

2. შეუთავსეთ მოსწავლეების მიერ არჩეული წიგნის განხილვა საშინაო დავალებასა და საკლასო სამუშაოს;

3. მიეცით მოსწავლეებს საკითხავი ლიტერატურა, რომელიც უკავშირდება მათ ინტერესებსა და ჰობის. მნიშვნელოვანია, რომ ისინი ლიტერატურას უდგებოდნენ, როგორც სასურველი ინფორმაციის მიღების საშუალებას;

4. ნუ დაივიწყებთ ჟურნალებს, კომიქსებს და ინტერნეტს. თუ თქვენ ცდილობთ, რომ ბავშვებს ლიტერატურის სიყვარული გაუღვიძოთ, ნებისმიერი გზა გამართლებულია;

5. შეარჩიეთ სწავლების ისეთი მეთოდები, რომ მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილონ ლიტერატურულ გმირებზე, სიუჟეტზე და ა.შ. შეგიძლიათ, აჩვენოთ წაკითხული წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმები;

6. კლასში, შეძლებისდაგვარად, მრავალფეროვანი ლიტერატურა იქონიეთ და თავისუფალ დროს ურჩიეთ მოსწავლეებს, გადახედონ;

7. იკითხეთ ხმამაღლა მათთვის და მათთან ერთად. მაღალი კლასის მოსწავლეებსაც უყვართ, როდესაც უკითხავენ;

8. წაიკითხეთ პიესები, რომელთა დადგმასაც შეძლებთ კლასში. ეს საუკეთესო საშუალებაა ნაამბობის თუ წაკითხულის გასაცოცხლებლად;

9. შეუთავსეთ წერითი სამუშაოები მოსწავლეებისთვის საინტერესო ლიტერატურას;

10. მოაწყვეთ შეჯიბრი ამა თუ იმ ნაწარმოების გამოსაცნობად.

ფესტივალი

# „ოლიმპოს მწვერვალი“ ქართულ სასკოლო სივრცეში



25 მარტს, საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღეს, კერძო სკოლა „ოლიმპმა“თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების (კერძო და საჯარო) დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებისათვის ყოველწლიური საგაზაფხულო სასკოლო ფესტივალი „ოლიმპოს მწვერვალი“ დააფუძნა. ფესტივალის იდეა სკოლა „ოლიმპში“ დაიბადა, *„ამით „ოლიმპი“ გაწუცხადებს საზოგადოებას, რომ ის არა მხოლოდ სპორტული აქტივობების სასწავლებელი, არამედ უპირატესად და უპირველესად აკადემიური, მაღალაკადემიური სასწავლო პროცესის დამამკვიდრებელი და ამავე დროს ესთეტიკური და სახელოვნებო მიმართულებების განმავითარებულია სასკოლო საზოგადოებაში* – განაცხადა ფესტივალის ორგანიზატორმა და სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ლელა წიქარიშვილმა** – *დღეს არის ფესტივალის წარდგენა, რომელშიც მონაწილეობს 50-მდე მოსწავლე, მათ საბერძნეთის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნად, ბერძნული ფონდი „ჰიპოკრატე“, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით მუშაობს, სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემს. ფესტივალის მიზანია ზოგადად მარვალსაუკუნოვანი ბერძნული კულტურის პოპულარიზება ქართულ სასკოლო სივრცეში“.*



ფესტივალის მხარდამჭერია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქალაქ თბილისის საკრებულო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი.

ფესტივალი „ოლიმპოს მწვერვალი“, რომელიც ხელს შეუწყობს ბერძნული (ანტიკური, შუასაუკუნეების, თანამედროვე) კულტურის პოპულარიზაციას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ექვს ფორმატად ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების.

„ოლიმპოს მწვერვალი“ უდიდესი ბერძენი პოეტის კონსტანტინოს კალამისის ლექსით „ითაკა“ გაიხსნა – ორიგინალის ენაზე წარმოადგინა პირველი საჯარო სკოლის მოსწავლემ **მარიამ მაისურაძემ**, ხოლო ქართულ ენაზე (თარგმანი იზა ორჯონიკის) – სკოლა „ოლიმპის“ მოსწავალემ **თემურ ქურციკიძემ.** *„შემთხვევით არ შევგვირჩევია ეს ლექსი, რადგან ოდისევსისა და კალამისის თემა გასდევს მთელ ფესტივალს“,* – განაცხადა ქალბატონმა ლელამ და სკოლის სახელით დამოუკიდებლობის დღე მიულოცა საბერძნეთის ელჩს საქართველოში გეორგიო ხაძიმიხელაკისს და უსურვა სამშობლოს წარმატებული და აყვავებული მომავალი.

ფესტივალის მონაწილეთა საყურადღებოდ კი მსურველთა რეგისტრაცია გამოაცხადა.

ფესტივალის კონცეფცია ძალიან საინტერესოდაა შედგენილი – მიზნად ისახავს, მრავალფეროვანი აქტივობებით ბერძნული ცივილიზაციის შესახებ მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას; დაწყებითი სწავლების საფეხურის მოსწავლეებისათვის მოეწყობა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა – ნახატები, ნაძერწები, ნაქარგები, აპლიკაციები, კოლაჟები, რომლებიც უნდა ასახავდეს ბერძნული მითოსისა და ისტორიის რეალიებს;

საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებმა ლიტერატურული კომპოზიციები და სპექტაკლები უნდა შექმნან ბერძნული მითოლოგიის, ისტორიისა და ლიტერატურის ნიმუშების საფუძველზე;

მოეწყობა ვიქტორინა „რა? სად? როდის?“ ბერძნული მითების სამყაროში – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებისათვის; 46 მოსწავლისაგან შემდგარი გუნდები წარმოადგენეს პროექტების პრეზენტაციას, რომელშიც ასახული იქნება მათ მიერ შერჩეული თემის დამუშავების პროცესი ვიზუალური მასალით (მულტიმედია საშუალებები, პლაკატები, პოსტერები, ფოტოები, კოლაჟები და ა. შ.). პროექტების თემატიკა ანტიკური, შუასაუკუნეებისა და თანამედროვე საბერძნეთის კულტურას ასახავს;

ანალიტიკური წერის აქცია მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, შექმნან ანალიტიკური ესსე მიწოდებული მასალებისა და მიმართულებების მიხედვით; გათვალისწინებული იქნება ანტიკური რეალიების ასახვის სპეციფიკა თანამედროვე ბერძნულ მწერლობაში, ანტიკურობის, შუასაუკუნეებისა და თანამედროვეობის კავშირი ბერძნულენოვან (ქართულად ნათარგმნ) სამყაროში. ფესტივალის ერთ-ერთი ფორმატი კი ითვალისწინებს ბერძნული ენის კონკურსს ბერძნული ენის პედაგოგთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დავალებების საფუძველზე იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც თბილისის სკოლებში შეისწავლიან ბერძნულ ენას.

ფესტივალისათვის მზადების პროცესში მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა, ისარგებლონ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტთან არსებული აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის ბიბლიოთეკით. საფესტივალო მასალები და დავალებები მომზადდება ინსტიტუტის თანამშრომლების კონსულტაციების საფუძველზე;

ფესტივალის მონაწილეების წასახალისებლად სკოლა „ოლიმპი“ და ინსტიტუტი მოამზადებენ სიგელებს, დიპლომებს, წიგნებს.

ფესტივალის პროგრამის წარდგინებას წარმომადგენლობითი ხასიათი ჰქონდა, მას სხვა სტუმრებთან ერთად ესწრებოდა საბერძნეთის ელჩი საქართველოში გეორგიოს ხაძიმიხელაკისი. მან მადლიერება გამოხატა სკოლისა და ქართველი ბავშვების მიმართ ბერძნული კულტურის პოპულარიზებისათვის: *„სასიამოვნოა, ასეთი ფესტივალის დაფუძნება. როგორც მივხვდი, ამ ფესტივალის არსი არის ის, რომ მხოლოდ წარსული კი არ წარმოვაჩინოთ, არამედ წავიდეთ წინ, მომავალში. ქართველ ბავშვებს ვუსურვებ საინტერესო მოგზაურობას და გრძელ გზას ითაკამდე.“*

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **კოკა სეფერთელაძემ** ფესტივალისადმი მხარდაჭერა გამოხატა და მონაწილეებს წარმატება უსურვა: *„ჩემთვის დიდი პატივია ამ არაჩვეულებრივ ღონისძიებაზე ყოფნა. მინდა აღვნიშნო, რომ ბერძნული კულტურა და ლიტერატურა არ არის მხოლოდ ბერძენი ხალხის საკუთრება, ეს მსოფლიო კულტურის საგანძურია და მისი კარგად გაცნობა და შესწავლა ქართველი ბავშვების ზოგად განათლებას უდავოდ წაადგება. მე მქონდა ბედნიერება საბერძნეთში მემოგზაურა და იქაური კულტურით, ბუნებით მოვხიბლულიყავი. ბერძნული ენა ჩემმა მეგობარმა მამუკა ახვლედიანმა შემაყვარა, რომელიც ამ ენაზე კარგად საუბრობს. დარწმუნებული ვარ, თქვენც ძალიან შეგიყვარდებათ. მინდა წარმატებები გისურვოთ ფესტივალის მსვლელობისას, წინ საინტერესო გზა გელით“.*

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **მამუკა ახვლედიანმა** კი ფესტივალს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა: *„ვფიქრობ, „ოლიმპოს მწვერვალი“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფესტივალი იქნება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარებულ ფესტივალებს შორის. ამის საწინდარს უკვე გვაძლევენ ასე კარგად მომზადებული მოსწავლეები და სხვადასხვა საჯარო სკოლების მიერ გამოხატული ინტერესი. ზოგადად მინდა ვთქვა, რომ მართლაც ძალიან დიდია ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა, ეს ურთიერთობა არც 1 წლის არის და არც 100 წლის, ეს ბევრად უფრო მეტ დროს უკავშირდება. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ბავშვები, ახალგაზრდები ეზიარებიან უდიდეს ელინურ კულტურას, ბიზანტიის უბრწყინვალეს ისტორიას და სწორედ ამ თანაზიარებით გახდებიან მოწმენი იმისა, რომ ეს არის მართლაც შედევრი მსოფლიო ცივილიზაციისა და კულტურისა. მჯერა, რომ ეს მოსწავლეებისთვის ძალიან სასარგებლო იქნება, რადგანაც ამ კულტურასთან ზიარება მხოლოდ კეთილის და დადებითის მომტანია. ჩემს უსაყვარლეს ბერძენ ერს კი მინდა მივულოცო დამოუკიდებლობის დღე.“*



ფესტივალის იდეა, როგორც ქალბატონმა ლელამ განაცხადა, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ცენტრთან – ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით და პარტნიორობით ჩამოყალიბდა.



ცენტრის ხელმძღვანელმა **რისმაგ გორდეზიანმა** ფესტივალის გახსნა მიულოცა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალბატონი ლელა წიქარიშვილის ეს ინიციატივა მისთვის გასაკვირი არ იყო, რადგანაც მას კლასიკური ძირები უნივესიტეტიდან აქვს და საბერძნეთის სიყვარული სწორედ აქედან მოსდგამს.

*„მე მინდა გულწრფელად მოგილოცოთ დღევანდელი დღე, მივულოცო მის აღმატებულებას ბატონ ელჩს, ბერძენ ხალხს. ძალიან მნიშვნელოვანია ეს დღე ბერძენი ხალხისათვის, სიმბოლურია, რომ ფესტივალს სწორედ დღეს ვიწყებთ. მინდა ვუსურვო მის მონაწილეებს მართლაც დიდი წარმატება და რა იქნება ეს წარმატება? ჩვენს ახალგაზრდობაში ჰორიზონტი, განათლების დონე გაფართოვდეს და კიდევ ერთხელ გავაცნობიეროთ, რას ნიშნავს ჩვენთვის ბერძნული კულტურა – ვგულისხმობ ანტიკურობას, ბიზანტიას და თანამედროვე ბერძნულ კულტურას. ჩვენი ინსტიტუტი მზად არის, თანადგომა გაუწიოს „ოლიმპოს მწვერვალს“ , ჩვენ გვექნება პროგრამა ძალიან დეტალური და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განვსაზღვრავთ სკოლისა და ინსტიტუტის ურთიერთანამშრომლობის ფორმებს.“*

*„ის გულისხმიერად იზიარებს ჩვენი ფესტივალის იდეას“* – ასე წარადგინა სკოლის დირექტორმა ჟურნალისტი **დათო პაიჭაძე**, რომელიც ფესტივალის გახსნაზე მშობლის სტატუსით გამოვიდა: *„დღეს ქართულ საზოგადოებაში მიდის დისკუსია, როგორი უნდა იყოს განათლების კონცეფცია, რა უნდა ისწავლონ ბავშვებმა, რა არის განათლება და ა. შ. და არაერთ ჭკვიან ადამიანს შეუნიშნავს, რომ დღეს საქართველოში იგონებენ ტრადიციებს... აქ კი ძალიან საინტერესო რამ ხდება – გამოგონება არ გვჭირდება, უბრალოდ შეხსენება ხდება კარგად ნაცნობი ბერძნული კულტურისა, რომელიც შემდგომში უნდა განვავითაროთ. თუკი ვინმე ძირებსა და ტრადიციებზე ისაუბრებს, მე ვისურვებდი ამ თაობამ უტყუარად გაუსწოროს თვალი იმ ძირებს და ფესვებს, რაც ქართულ კულტურაშია. ეს კი ქართული კულტურის არა ერთადერთი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი შენაკადია და მე მჯერა, რომ ქართული საზოგადოება კიდევ უფრო განათლებული და ჯანსაღი გახდება, როცა ამ უძველეს კავშირებს გააცნობიერებს – კავშირებს ბერძნულ სამყაროსთან. დღეს, ამ წუთებში, აქ იწყება ეს ყველაფერი და ვფიქრობ, ფესტივალით ჩვენ ვხდებით არა გამოგონების, არამედ ახალი ტრადიციის დაბადების მოწმენი.“*

„ოლიმპის“ კედლებში მართლაც დაიბადა ახალი ტრადიცია – „ოლიმპოს მწვერვალი“, რომელიც ყოველწლიურ საგაზაფხულო სასკოლო ფესტივალის სახეს მიიღებს. ფესტივალის მონაწილეები ანტიკური საბერძნეთიდან თანამედროვე საბერძნეთში იმოგზაურებენ, როგორია გზა ითაკადან დღემდე ამას ფესტივალის მსვლელობისას შევიტყობთ.

**ლალი ჯელაძე**

C M Y K

თვალსაზრისი

# რომანტიკული ფერები

იმ თავისებურებათა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ მწერალთა ინდივიდუალობას, გარკვეული ადგილი უკავია ფერთა გამოყენებას. რომანტიკოსთა შემოქმედებაში ფერები, როგორც წესი, ახდენენ საგანთა კონტურების ნიველირებას; დამახასიათებელია აგრეთვე მკვეთრი კონტრასტის პრინციპი. იტალიელი ხელოვნებათმცოდნე ვენტური აღნიშნავს: *„რომანტიკულმა ფერწერამ სტატიკას დინამიკა დაუპირისპირა, უკიდურეს დამთავრებულობას – დაუმთავრებლობა, ობიექტურობას – ჭარბი სუბიექტურობა, სიმკვრივეს – ჰაეროვნება, საგნებს – განათების ეფექტი, გაქვავებულს – მუდმივი ცვალებადობა. ფერწერის მთავარი პრობლემა გახდა ფერი, რომელმაც ბოლო მოუღო პლასტიკურ ფორმას და უარყო სკულპტურული მოდელი“* (Л. Вентури, Художники нового времени, М., 1956, с.54). ეს თვალსაზრისი, გამოთქმული გოიასა და დელაკრუას, კოროსა და ტერნერის და მათ თანამედროვე მხატვართა შესახებ, არსებითად რომანტიკოს პოეტთა ფერთამეტყველებაზეც ვრცელდება.

ფერწერის თვალსაზრისით რომანტიკული პოეზია უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე ზოგი სხვა ლიტერატურული სისტემა, მაგალითად, კლასიციზმი. რომანტიზმმა მანამდე არნახული ყურადღება დაუთმო ფერებს, ფერთა აღმნიშვნელ ლექსიკას, რომლებიც ძირითადად ბუნების არაპლასტიკური ფერწერის ამოცანას ემსახურება.

ცხადია, განსაკუთრებით მდიდარია ფერების სპექტრი რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთ მთავარ ნაკადში – პეიზაჟურ ლირიკაში და შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი მედიტაციურ ლექსებში, სადაც მთავარი ადგილი „შინაგან მონოლოგს“, აღსარებას უკავია. მედიტაციური მიზნებისათვის მეტწილად არასპექტრალური ფერები (თეთრი, შავი, რუხი) გამოიყენება.

ფერი პოეტურ მეტყველებაში რომანტიზმის აღმოჩენა როდია. მაგრამ ამ მხრივ იგი გაცილებით მდიდარია, ვიდრე წინამორბედი პერიოდის ლიტერატურა.

ქართულ პოეზიაში ალ. ჭავჭავაძე პირველია, რომლის ლირიკაში, თავს იჩენს ახალი პოეტიკის, მათ შორის რომანტიკული კოლორიზმის ნიშნები. მართალია, ფერთა აღსანიშნავად იგი ხშირად იყენებს ტრადიციულ ლექსიკურ საშუალებებს („მელნის ტბა“, „ბაგე-ვარდი“, „გიშერი“, „სპეტაკი“ და სხვ.), მაგრამ ამასთანავე მის ლექსებშიც გვხვდება იმ დროის დასავლურ და რუსულ პოეზიაში გაბატონებული ეპითეტი „ლაჟვარდის ფერი“. ასევე მის არაერთ ლექსში შავი ფერი ევროპული რომანტიზმის ინტერტექსტს ეხმაურება.

ინდოევროპულ ენებშიც გავრცელებული „ლაჟვარდი“-ს, „ლაჟვარდოვანი“-ს ეტიმოლოგია არაბულ „აზულ“-ს უკავშირდება. ევროპული რომანტიზმის ზეგავლენით ეპითეტი „ლაჟვარდი“ ქართული რომანტიზმის სამივე დიდ წარმომადგენელთან გვხვდება, მათ შორის ალ. ჭავჭავაძე ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ ლექსში „სახე შენი“: „მეტმან ცრემლმან ლაჟვარდის ფერ მალება“. „გოგჩა“ ალ. ჭავჭავაძის ყველაზე უფრო რომანტიკული ხასიათის ლექსია და არაა შემთხვევითი, რომ მასში ზეცის ფერის მსაზღვრელად გამოყენებულია „ლაჟვარდი“.

ალ. ჭავჭავაძის ლინგვოსპექტრში განსაკუთრებით ხშირია შავი ფერის აღმნიშვნელი სიტყვები, მათ შორის: შავი და მელნის ტბა (ცხრაჯერ), წყვდიადი (სამჯერ), სიბნელე და ბნელი (ოცჯერ), გიშერი (შვიდჯერ), თალხი, ღამის ფერი, ჩადრბურვილი (ერთჯერ).

პყრობილი პოეტი წყევლის „სადგურსა ბნელსა, ყოვლით თალხსა“ („ოჰ, წარმავალნო“); რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით გამოწვეულ ეროვნულ ღალადისში „ისმინეთ, მსმენნო“ შექმნილი ვითარების დასახასიათებლად მუქად შეფერადებულ სახეებს მიმართავს: „პირბნელნი სათნი“, „დაგვახვიეს თავს ბნელნი ბურნი“ და სხვ.

მრავალჯერაა გამოყენებული თეთრის აღმნიშვნელი ლექსიკა: ფერმკრთალი, ნათელი, გამკრთალი, ფერმიხდილი, მიმქრალი, მნათი, მნათებლობს და სხვ.

ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში თავს იჩენს აგრეთვე მწვანე ფერის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა. ეს არის ბუნებისადმი ინტერესის გამოვლინების ერთ-ერთი ნიშანი: „ველსა ვსხდეთ მწვანით შემკულსა“ („ლოთური სიმღერა“); „მაისის ვარდმან ფურჩნილმან, ბეზეკმან მწვანით მკობილმან, ბულბული ათრო სუნითა“ („მაისის ვარდმან“); „მწვანესა ჰრთოდა თრთვილის წილ ნამი“ („მიწურვილობდა ზამთრისა ჟამი“); „და თქვენს მწვანეზე სრბოლით გულის წყლულს დავიამებ“ („გუთნის დედა“).

„გოგჩა“-ში მწვანე და ცისფერი არა იმდენად განწყობილების, რამდენადაც ბუნების ფერწერას ემსახურება: „თვის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ“.

მწვანე ფერის შემოჭრა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში ბუნების თემის დამკვიდრებას დაუკავშირდა. ინგლისურ რომანტიკულ პოეზიაში მწვანე ერთ-ერთი უფრო გავრცელებული ფერია. უორდსვორთი ამ ფერს იყენებს ორჯერ უფრო ხშირად, ვიდრე რომელიმე სხვა ფერს და იგი, როგორც წესი, ბუნების მშვენიერებას უკავშირდება. ასევე კიტსის ლექსებში ნახსენებია მწვანე ბალახი, მთები და ხეები.

ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში რომანტიზმი ჯერ კიდევ არ არის მოცემული დასრულებული სახით, მაგრამ თავისთავად საგულისხმოა მწვანე ფერის შემოჭრა მის პოეზიაში ბუნების მოვლენათა აღწერის მიზნით. საინტერესოა, რომ პუშკინის „სპილენძის მხედრის“ თარგმანში პოეტმა ასე თარგმნა: „ზურმუხტის ფერნი ბაღნი“. ზურმუხტისფერი მწვანის აღსანიშნავად შემდეგ გამოყენებული აქვთ გრ. ორბელიანსა და ვახტანგ ორბელიანს.

ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში სპექტრის ფერები – მწვანე და ცისფერი – ახალ რომანტიკულ ტენდენციებს უკავშირდება, თუმცა უპირატესად გამოყენებულია შავი ფერის სიტყვათა ჯგუფი. აქ შეიძლება მივუთითოთ, რომ ბაირონის ლირიკაშიც მინიმალურად არის გამოყენებული სპექტრალური ფერები. მისთვის დამახასიათებელია ასეთი გამოთქმები: „ბნელი მომავალი“, „ბნელი გონება“, „სულის სიღრმეში სუფევს სიბნელე“, „შავბნელი ბედი“, „ბნელი ფიქრები“, „ჩემს სულში უკუნია“ და სხვ.

ნ. ბარათაშვილის ლირიკაში იშვიათია ფერის აღნიშვნის ტრადიციული საშუალებანი. არც ერთხელ არ იჩენს თავს „მელნის ტბა“, ლალისა და ბაგეთა შედარება, ხოლო ღაწვები და ვარდი მეტად თავისებურად არის ურთიერთდაკავშირებული. „ვარდი ღაწვთზედ მყის აეფურცლა“ („ღამე ყაბახზედ“), „პაწაწა ტუჩნი, ვარდებრ ნაფურცლნი“ („ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“).

ბარათაშვილს არა აქვს გამოყენებული არც ერთი სპექტრალური ფერი, გარდა ცისფერისა, და მხოლოდ „ბედი ქართლისას“ ლირიკულ გადახვევაში – „მორბის არაგვი, არაგვიანი“ – მიმართავს მწვანე ფერს: „არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს“.

უხვად არის გამოყენებული მის პოეზიაში ნეიტრალური ფერები: შავი, ბნელი, ბუნდოვანი, შუქმიბინდული, ბინდი, დაბინდული, წყვდიადი; თეთრი, სპეტაკი, ნათელი, განანათლე, ციური, ნათლდება და სხვ. ამ სიტყვათა ჯგუფს ხშირად არა ფერითი დახასიათების, არამედ ემოციური განწყობის ფუნქცია აკისრიათ. „მერანში“ პოეტი შავი ფერის საშუალებით იძლევა ყორნის უაღრესად პლასტიკურ სახეს („უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი“), იქვე შავი ფერი არავიზუალურ მოვლენას – ფიქრს – უკავშირდება („და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი“). ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე გრ. ორბელიანის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ („აღარ გვიბრწყინვის შავ დროთა ძალით ფერ წახდენილი“) და იქვე ფერწერულად არის წარმოსახული უკუღმართი აწმყოს სიმბოლო:

*და რაც დაეცა*
*ის წარიტაცა*
*შავმან ყორანმან,*
*ვით უმწე მსხვერპლი!*

ქართველმა რომანტიკოსებმა ნაყოფიერად გამოიყენეს ბნელისა და შავის სემანტიკური შინაარსი არა იმდენად კოლორისტული დახასიათების, როგორც თავიანთი სულიერი განწყობილების გამოსახატავად, თუმცა შავი ფერის სიტყვების ჯგუფს, გადატანითი მნიშვნელობით ხმარების დროსაც, მაინც შემოაქვს ლექსში გარკვეული ფერითი ეფექტი. ბარათაშვილის ლექსებშიც შავი ფერი, არაფერწერული ფუნქციით, ჩვეულებრივ სევდასა და წუხილს გამოხატავს: „ბნელი გული გამომიდარე“ („ჩემს ვარსკვლავს“), „შავი ბედი“ („ჩემთ მეგობართ“, „მერანი“), „ჩემს გულს წყვდიადი დაისადგურებს („ვპოვე ტაძარი“, „მერანი“).

გრ. ორბელიანის ლექსებშიც „შავი“ და მისი სინონიმები ხშირად განსაზღვრავენ არა საგანს, არამედ არავიზუალურ მოვლენებს: „შავი ბედი“ („მირზაჯანას ეპიტაფია“ და „საათნავას მიბაძვა“), „გულის სიბნელე“ („ჩემს დას ეფემიას“), „შავი ფიქრნი“ („მუხამბაზი“) და სხვ.

ხშირად იყენებს ბარათაშვილი თეთრი ფერის ეფექტს. შეიძლება ითქვას, რომ თეთრი მის ლირიკაში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც – მწვანე ფერი კიტსის ლექსში „ოდა ბულბულს“.

ბარათაშვილის ლექსებში ისეთი განსაზღვრებები, როგორიცაა – მნათი, განანათლოს, ნათელი, ცისიერი, ციური – თეთრის ემოციურ შეგრძნებას ქმნიან და სულიერების, ზეციურობის შინაარსს ატარებენ.

„ციური“ ბარათაშვილის ლექსებში თეთრი ფერის შინაარსს უახლოვდება, ყველგან სინათლესა და სიწმინდეს უკავშირდება: „კვლავ ციური ცეცხლი გამოისარე“ („ჩემს ვარსკვლავს“), „მაშ რად ერჩები მათ შორის და ციურთ დაედარები, მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი“ („არ უკიჟინო“), „და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი“ („ვპოვე ტაძარი“), „თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა ტრფიალებისა ცეცხლი ციური“ („ჩინარი“), „დამაფრქვევს ცვარს ციურს“ („ცისა ფერს“).

განსაზღვრება „თეთრი“, რომელიც ალ. ჭავჭავაძეს არც ერთხელ არა აქვს გამოყენებული, ბარათაშვილთან განსაკუთრებულ პოეტურ დატვირთვას იძენს. ლექსში „ღამე ყაბახზედ“ პოეტის წინაშე ზმანებასავით მოვლენილი საოცნებო ქალი ერთადერთი ფერით – თეთრით არის დახასიათებული; ლექსში „ქეთევან“ ჩონგურზე მომღერალ ქალს აგრეთვე მოსავს თეთრი – „სპეტაკი საცმელი“, ლექსში „საყურე“ საყურის რხევა თეთრი შროშანის რხევასთანაა შედარებული.

ბარათაშვილის ლექსებში საგანთა ფერითი განსაზღვრება მინიმუმამდეა დაყვანილი. ხშირად ფერითი ეპითეტების ნცვლად გამოყენებულია ემოციური ეპითეტები, მაგალითად:

*ჰოი, მთაწმინდავ,*
*მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი*
*დამაფიქვრელნი,*
*ვერანანი და უდაბურნი....*

ასევე ლექსში „ჩინარი“ ჩინარის განსაზღვრებისათვის გამოყენებულია მრავალი ეპითეტი, მაგრამ არ არის არც ერთი კოლორისტული განსაზღვრება, ვინაიდან ეპითეტების ემოციური მხარე პოეტისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წმინდა ხედვითი, ვიზუალური მომენტი. ამ ლექსის მხატვრულ ძალას, პეიზაჟის აღქმის თავისებურებას განსაზღვრავს არა „გაფერადების“ ტექნიკა, არამედ ამ პეიზაჟზე სუბიექტური საწყისის პროეცირების უნარი.

ბარათაშვილის ფერწერა შუქჩრდილის ეფექტზეა აგებული. „შემოღამება მთაწმინდაზე“-ს ავტორი სინამდვილეს გვიჩვენებს უპირატესად არა ფერითი სიუხვით, არამედ მკრთალი განათების შუქზე, სადაც შუქი და ჩრდილი ერთმანეთს ეცილება უპირატესობისათვის.

მთაწმინდაზე განმარტოებული პოეტი ამჩნევს, რომ „ბინდი გადეკრა ცისა კამარას“ და ნელ-ნელა ჩნდება „დისკო-გადახრით შუქმიბინდული“ მთვარე, შემოღამების შუქზე ძნელად გასარჩევია ფერები და მხოლოდ შავ-თეთრი მეფობს. აქ ლაჟვარდოვანი ცისფერი არაამქვეყნიური ფერია, „ზენაართ სამყოფთა“ კუთვნილებაა.

ბარათაშვილი ხშირად მიმართავს ცისფერს, რომელსაც ღრმა სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ცნობილია, ბარათაშვილის „ცისა ფერს“ ერთგვარი შემოქმედებითი გაპაექრება-პოლემიკაა ალ. ჭავჭავაძის ლექსთან „ფერსა ბნელს“, რომელიც თავის მხრივ რუსული რომანსის გადმოქართულებული ვარიანტია. ბარათაშვილის ლექსში ცისფერის აპოლოგია სცილდება სატრფიალო თემატიკას. ამ ფერს, ყველა სხვა ფერთა შორის, პოეტი იმ მიზეზით ანიჭებს უპირატესობას, რომ იგი ცით არის „მოსრული“.

ცისფერის საშუალებით რომანტიკოსები გამოხატავენ იდეალის მიუწვდომლობას. აქ შეიძლება გავიხსენოთ ჰაინეს სიტყვები: *„მიუხედავად ჩემი გამანადგურებელი იერიშებისა, მე თვითონ ყოველთვის ვრჩებოდი რომანტიკოსად და ასეთი ვიყავი უფრო მეტად, ვიდრე თვითონ მეგონა. ყველაზე უფრო მომაკვდინებელი დარტყმების შემდეგ, რომლებიც მე მივაყენე რომანტიკული პოეზიით გატაცებას გერმანიაში, მე თვითონ შემიპყრო ცისფერი ყვავილის გამო უსაზღვრო წუხილმა“.*

ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“, „გოგჩის“ მსგავსად, მტკვრის ანკარა ზვირთებში იხატება „ლაჟვარდი ცისა“ (შდრ. „ცისა ლაჟვარდს“ – „გოგჩა“). ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ლაჟვარდოვანი ცა არა მხოლოდ ფერწერულად შეფერადებულია, არამედ ცის სილურჯე ამასთანავე სიმბოლოა იდეალთა და ოცნებათა მიუწვდომლობისა: „აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან“.

ქართულ ენაში დიფერენცირებულია სპექტრის ერთ-ერთი ძირითადი ფერის „ცისფერის ბაცი და მუქი შეფერილობა: ცისფერი-ლურჯი; ინგლისურ ენაში „Blue“ აღნიშნავს ცისფერსაც და ლურჯსაც. ბარათაშვილის პოეზიაში ცისფერის აღმნიშვნელი სიტყვების ჯგუფიდან გამოყენებულია ლაჟვარდი, ცისფერი და ლურჯი. ლექსში „ცისა ფერს“ არ არის დიფერენცირებული სხვაობა ცისა ფერსა და ლურჯსა ფერს შორის ისევე, როგორც ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“. ამ ლექსშიც „ლურჯი“ და „ცისფერი“ იდეალურ სფეროს განეკუთვნება და მისი ფუნქცია არ ამოიწურება მხოლოდ ფერწერულობით.

ბარათაშვილი ერთგან ხოტბას ასხამს შავთვალებიან ქალს „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალებიანო“ და ამასთანავე არანაკლები აღფრთოვანებით ეტრფის ცისფერ თვალებს: „თვალებში მშვენიერს ვეტრფი მე ცისა ფერს“. ბაარათაშვილი ამ შემთხვევაშიც რომანტიკულ პოეზიასა და ფერწერაში დამკვიდრებული ესთეტიკის ერთგული რჩება.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ფერწერაში მოხდა ქალის პორტრეტის ერთგვარი კანონიზაცია: *„უპირველეს ყოვლისა ეს არის აუცილებლად ლამაზი ქალი – ქერა ქალი ცისფერი თვალებით ანდა – შავთვალა შავგვრემანი ქალი. ქალის სახის ეს ორი ტიპი შაბლონის ხასიათს იძენს და გარკვეულ ფსიქოლოგიურ გააზრებას ღებულობს. ცისფერი თვალები ჩვეულებრივ უკავშირდება წარმოდგენას სულიერ სიწმინდესა და სიმშვიდეზე, ხოლო შავი თვალები – წარმოდგენას ვერაგ და დემონიურ ნატურაზე. ასეთი ვითარება იყო ფერწერაში და თითქმის ასეთივე – პოეზიაში: შავი ან ლაჟვარდისფერი თვალები, შავი ან ოქროსფერი დალალები თანამეზობლობენ და იბრძვიან პირველობისათვის მრავალი რომანტიკოსი პოეტის ლექსებში“.*

როდესაც ალ. ჭავჭავაძე შავ თვალებს ეტრფის, ხოლო ნ. ბარათაშვილი ამ ლექსის ანტისტილიზაციას ახდენს და სხვა ლექსში კი თვითონვე უმღერის შავ თვალებს, ქართული რომანტიზმი ზოგადრომანტიკულ ესთეტიკას იმეორებს.

ქართული რომანტიზმის დიდ სამეულში გრ. ორბელიანის ლირიკა ყველაზე მეტად არის შეფერადებული. მატერიალური სამყაროს ყოველგვარი გამოვლინებით ტკბობა, ჰედონიზმი მის ლირიკაში ხშირად ძლევს პლატონურ საწყისს და როცა პირველი იმარჯვებს მეორეზე სინამდვილის ცოცხალი, მაჟორული ფერები ჩნდება:

*ვარდი ხარ? – არა!*
*ზამბახი? – არა!*
*მაგრამ შენს ღაწვთზე*
*აღყვავებულნი,*
*არიან ორნივ შეზავებულნი!..*

გრ. ორბელიანის ლირიკაში წითელი „მატერიალური“, „მაჟორული“ და ამქვეყნიური სილამაზის მაუწყებელი ფერია. იგი ცხოვრების რეალური სინამდვილის გამომხატველი ფერია, რომელსაც რაიმე ალეგორიულობას მოკლებული წმინდა ფერწერული ფუნქცია აქვს. ანალოგიურია ვარდისაგან ნაწარმოები შედარებები და განსაზღვრებანი: „ვარდებრივთა ღაწვთა ზედა მარგარიტნი გადმოგცვივის“ („მტირალ ნ...ს“), „ვარდთ დაგეკონოს ღაწვთაზე გაშლილთა“, „ვინ დაადგინა ვარდო ღაწვთა მცველად“ („ალბომში ღრაფინია ოპერმანისას“), „ვარდი – შენი ბაგენი“ („ს“).

„სადღეგრძელოში“ წითელი ფერის ჯგუფის სიტყვათაგან გამოყენებულია „ვარდისფერი“ და შედარება „ცეცხლის ალებრივ“: „ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება“, „აენთნენ ცეცხლის ალებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი“.

ორბელიანის ფერთა გამაში მწვანე ფერს წმინდა ფერწერული დანიშნულება აქვს და ყველგან მდელოს, ველსა და გაზაფხულს უკავშირდება: „ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს“ („იარალის“), „მდელო ნაზად აღმწვანდების“ („გაზაფხული“), „სად ველნი, ფერად ზურმუხტნი ნაზადა აღმწვანდებიან“. პოეტი აქ იყენებს სიმწვანის აღმნიშვნელ როგორც ძირეულ ლექსიკურ ფორმას – „აღმწვანდებიან“, ასევე მის სინონიმს – „ფერად ზურმუხტნი“. ბუნების ლირიკის ნიმუშში „საღამო გამოსალმებისა“ გაზაფხულთან დაკავშირებით მწვანე ფერს კვლავ ფერწერული ფუნქცია აქვს: „გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით“.

ზურმუხტისფერი ბუნების სიმწვანის აღსანიშნავად ასევე ხშირად გვხვდება ვახტანგ ორბელიანის ლექსებში: „მდინარე ა..ს“, „გამოსალმება“, „მოგონება“, „ორი სიზმარი“, „ადგილი“, „კიდევ კახეთს“, „მართალი ასაკი“ და სხვ.

გრ. ორბელიანის პოეზიაში დასტურდება აგრეთვე „ლაჟვარდოვანის“ გამოყენების რამდენიმე შემთხვევა: „ოდეს ვარსკვლავი დილის წინ მსრბოლი მკრთოლვარებს ზეცას ლაჟვარდოვანსა“ („ვითა ღამეში“); „შესტრფი... ცა ვარსკვლოვანსა, ლაჟვარდოვანსა“ („ალბომში ღრაფინია ოპერმანისას“), „სადა შევჰხარით ლაჟვარდად ცისა კამარას მორთულსა“ („სადღეგრძელო“). ეს მაგალითები რომანტიკული ინტერტექსტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

„სადღეგრძელო“-ში გვხვდება ცისფერის აღნიშვნის საინტერესო მეტაფორული ფორმა: „სადა შევჰხარით... ღამით ვარსკვლოვანს ფირუზსა, მთოვარით განათლებულსა!“ ამავე სტროფში პოეტი მზის ბრწყინვით გასხივოსნებული ფერის აღსანიშნავად იყენებს „ლაჟვარდს“, ხოლო მთვარით განათებული ვარსკვლავიანი ცის ფერს „ფირუზის“ საშუალებით აღნიშნავს.

გრ. ორბელიანის ლირიკაში თეთრ ფერს უახლოვდება თავისი ემოციური ზემოქმედებით ისეთი განსაზღვრებანი და ზმნები, როგორიცაა: მნათი, უნათლესი, ნათლოვანი, ნათელმოსილი, მინათლე, ნათლდება, სპეტაკი და სხვ.

ზოგჯერ გრ. ორბელიანი უაღრესად ნიუანსირებულ ფერწერულ შტრიხებს მიმართავს: „მწამს, რომ ღაწვთ ზედა გარდაგკვრია ნუშის ყვავილი“ („მუხამბაზი“), „თოვლლვინო შენნი ღაწვნი“ („...ს“).

განსხვავებით ინგლისური რომანტიზმის წარმომადგენელთა ლირიკისაგან, რომელშიც უხვად გამოიყენება სპექტრული ფერები, ქართველ რომანტიკოსთა, განსაკუთრებით – ბარათაშვილის პალიტრაში შუქ-ჩრდილის, თეთრისა და შავის, სინათლისა და სიბნელის, გარდამავალი განათების ეფექტი და ცისფერი ჭარბობს.

ქართველ და ევროპელ რომანტიკოს პოეტთა შორის საერთოა უპირველესი რომანტიკული ფერის – ცისფერის ემოციური და ხშირი გამოყენება სულიერებისა და არაამქვეყნიური საწყისის გამოსახატად.

**თამარ ნუცუბიძე**
*„წერილები ლიტერატურისა და კულტურის შესახებ“*

თვალსაზრისი

# ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის



მარინე უკლება
სერტიფიცირებული პედაგოგი

დღევანდელ ეტაპზე, როდესაც დიდი ყურადღება ექცევა სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას, ჩვენი აზრით, ამ აქტივობების გამოყენება ზოგ შემთხვევაში მოკლებულია ფუნქციურ დატვირთვას – აქტიურად ჩააბას თითოეული მოსწავლე მასალის აღქმის, გააზრებისა და შეფასების პროცესში. ასეთ პირობებში, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია სწავლების ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების შეჯერება.

ცალკეულ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების განსხვავებული მეთოდებით სწავლება კარგ შედეგს იძლევა მოსწავლეთა დაინტერესებისა და სწავლის მოტივაციის ამაღლების თვალსაზრისით. ამჯერად, მინდა ყურადღება გავამახვილო ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სწავლების განსხვავებულ მოდელზე, რომელიც, საინტერესოს გახდის საგაკვეთილო პროცესს.

მართალია, ამა თუ იმ ლექსის განხილვისას ყურადღებას ვამახვილებთ პოეტის ცხოვრების ეპიზოდებსა და პირად წერილებზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ მუშაობა უფრო საინტერესოდ წარიმართება, თუ ბიოგრაფიას დავყოფთ მონაკვეთებად და პარალელურად ვიმუშავებთ შესაბამის პერიოდში დაწერილ ლექსებზე:

- „შემოღამება მთაწმინდაზედ“ – 1836 წ.
- „ხმა იდუმალი“ – 1836 წ.
- „ფიქრნი მტკვრის პირას“ – 1837 წ.
- „სული ობოლი“ – 1839 წ.
- „ჩემი ლოცვა“ – 1840 წ.
- „ვპოვე ტაძარი“ – 1841 წ.
- „რად ჰყვედრი კაცსა“ – 1842 წ.
- „მერანი“ – 1842 წ.
- „სულო ბოროტო“ – 1843 წ.

შემოთავაზებულ მოდელს კარგად შეესაბამება სახელმძღვანელო – ქართული ენა და ლიტერატურა, მე-11 კლასი (ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, ლალი დათაშვილი) – 2010.

ლექსების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შესწავლა ბიოგრაფიის ფონზე იძლევა საშუალებას, რომ გაკვეთილზე გამოირიცხოს ერთფეროვნება (ვგულისხმობთ, რომ ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის შემოქმედება შესწავლილია ტრადიციული თანმიმდევრობის დაცვით, თემატური რეკომენდაციების საფუძველზე), მოსწავლეები ინტერესით ეცნობიან პოეტის ცხოვრების ეპიზოდებს და უკეთ აღიქვამენ მისი შემოქმედების ნიმუშებს, რომლებშიც არეკლილია ბარათაშვილის „შავადმღელვარი ფიქრები“ და განცდები. რაც შეეხება შემოქმედების მოტივების ინტერპრეტაციას, ამ საკითხს დაეთმობა შემაჯამებელი გაკვეთილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის მონაკვეთებად დაყოფისათვის ვეყრდნობით პ. ინგოროყვას მონოგრაფიას „ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი – ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი“, თბილისი, 1985 წ.

## I მონაკვეთი

**გაკვეთილის თემა** – შესავალი საუბარი ნ. ბარათაშვილის, როგორც რომანტიკოსი პოეტის შესახებ.

***დამხმარე ლიტერატურა***

*პ. ინგოროყვა – „ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელნი“ – ნ. ბარათაშვილი (გვ.9-11);*

*ნ. ბარათაშვილის პორტრეტი, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 4-10. V. 1998 წ.;*

*ნ. ბარათაშვილი – ფოტოალბომი, „საქართველო“, 1968 წ.*

საუბრის დაწყებამდე შევქმნით ისეთ განწყობილებას (ვგულისხმობთ, რომ მოსწავლეებს წაკითხული აქვთ ს. ჭილაიას „ეკატერინე ჭავჭავაძე“), რომ თავი წარმოვიდგინოთ არა ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში, არამედ – „ცარსკოე სელოში“, კერძოდ, ეკატერინე ჭავჭავაძის სალონში, სადაც სტუდენტი ილია ჭავჭავაძე, 1859 წელს, გაეცნო ნ. ბარათაშვილის ხელნაწერ ალბომს (ვკითხულობთ კ. აფხაზის მოგონებას ილია ჭავჭავაძის შესახებ) და განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ილიას განცდებზე, სიზმრისეულ მოლანდებასა და მისივე ლექსის ფრაზაზე: „როს წავიკითხე მისი ლექსები, ვერარა ვსთქვი რა, განცვიფრებულმან“.

შემდეგი აქტივობა იქნება მინი-ლექცია – ნ. ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი. ხაზი გაესმება, რომ პოეტს განგებამ იავარქმნილი, დაცემული ქვეყნის შვილობა არგუნა, რომ მისი „პოეზია კაცობრიობის უნაზეს და უფაქიზეს განცდათა მხატვრული მატიანეა“ (რ. დევდარიანი, ბარათაშვილის შემოქმედება, გვ.3, 2002წ.). აქვე განიხილება ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები და ლექსები. პ. ინგოროყვას მონოგრაფიისა და ზემოთ დასახელებული სტატიის საფუძველზე ყურადღება გამახვილდება პოეტის ფოტოს უცნაურ ბედზე.

გაკვეთილის ბოლოს ჯგუფი ერთობლივად მოამზადებს გამოფენას, რომელიც ცენტრალურ ადგილს დაიჭერს ლიტერატურის კაბინეტში (რუბრიკით – *ამჟამად ვსწავლობთ*) ბარათაშვილის შემოქმედების შესწავლის პერიოდში. აქ მოვათავსებთ: პოეტის მშობლების, ახლობლების, ეპოქის ამსახველ სურათებსა და სხვადასხვა მნიშვნელოვან მასალას. მაგალითად, გამოიყოფა კონვერტი ეპისტოლარული მემკვიდრეობისათვის, რომელიც გზადაგზა შეივსება მოსწავლეთა ხელით გადაწერილი ბარათაშვილის პირადი წერილებით. ერთ-ერთ მათგანში მოვათავსებთ ნ. ბარათაშვილის ხელნაწერი ლექსების ქსეროასლებს (ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, თბილისი, 1981 წ.), რომლებსაც გამოვიყენებთ შესაბამის დროს.

ამგვარი ქმედება მოსწავლეებს აღუძრავს ინტერესს იმ მუშაობისადმი, რომელიც მომდევნო პერიოდში წარიმართება. გამოფენა დროდადრო შეივსება ნახატებით, ლექსებითა და ჩანახატებით. გამოვყოფთ „აღრიცხვის ჟურნალს“, რომელშიც აღინიშნება თითოეული მოსწავლის მიერ ზეპირად დასასწავლი ლექსების ცოდნა. ამგვარი მეთოდი მათ მისცემს თავისუფლებას, გარკვეულ ვადაში, თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით, ისწავლონ ლექსები ზეპირად.

## II მონაკვეთი

**განსახილველი თემა** – ნ. ბარათაშვილის გენეალოგიური შტო, ოჯახური წრე, მშობლები, პირველდაწყებითი განათლება (1817-1833 წწ.), ლექსი – „შემოღამება მთაწმინდაზედ“ (რადგან ამ ლექსის I ვარიანტი ნ. ბარათაშვილმა დაწერა 15 წლის ასაკში და ქრონოლოგიურად შესასწავლ ლექსთა შორის პირველია).

***დამხმარე ლიტერატურა***

*პ. ინგოროყვას ზემოთ ხსენებული მონოგრაფია (გვ. 19-34);*

*ა. გელოვანი, „სვეტი ნათლისა“, განათლება, 1979. გვ. 13-20.*

ამ ეტაპზე დამუშავდება ბიოგრაფია 1833 წლის ჩათვლით. შესაბამისი ფოტოსურათების საშუალებით ვიმოგზაურებთ ძველ თბილისში, „ორბელიანებისა და ბარათაშვილების სამოსახლოში“, ანჩისხატის უბანში. ა. გელოვანის წიგნზე დაყრდნობით გაშუქდება ნ. ბარათაშვილის ოჯახური წრე, ბავშვობა. გამოიკვეთება ტატოს ენაკვიმატობა, ამხანაგებსა და მასწავლებლებთან დამოკიდებულება, ს. დოდაშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწისა და მასწავლებლის პიროვნება. მოსწავლეებს მივუთითებთ, ისარგებლონ გამოფენაზე მოთავსებული კონვერტით – პოეტის ცხოვრების ქრონიკა და წაიკითხონ ამონარიდები ა. გელოვანის წიგნიდან („როზენის როზგები“, „თხუთმეტი წლის მეამბოხის 15 დღე“, „გიმნაზიის ყვავილი“, „მანანა ორბელიანის სალონი“ და ა. შ.).

ამავე გაკვეთილზე განიხილება ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზედ“; ჯერ ვკითხულობთ ფრაგმენტს წიგნიდან „სვეტი ნათლისა“ („მოგისმენიათ ჩიტის გალობა შებინდებისას მთაწმინდის მთაზე?“.. გვ. 161 – IV-V აბზაცი). **გავითვალისწინოთ** – თუ ლექსი მცირე ზომისაა, თავიდან ბოლომდე კითხულობს მასწავლებელი შესაბამისი დიქციით, რადგან, „ხმაა მთავარი, სათქმელის შესატყვისი ხმა“ (მ. მაჭავარიანი). ამ შემთხვევაში იწყებს მასწავლებელი, შემდეგ მხატვრულ კითხვაში დაოსტატებულ ორ მოსწავლეს ვაგრძელებინებთ ლექსს ისე, რომ ერთმანეთს შეენაცვლოს თოთხმეტმარცვლიანი და ოცმარცვლიანი სტროფები. ამის შემდეგ დაფაზე გავაკრავთ აღნიშნული ლექსის ხელნაწერის გადიდებულ ქსეროასლს და ვთხოვთ მოსწავლეებს, გადმოსცენ, როგორია პირველი მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება. გამოვიყენებთ მიკროფონის მეთოდს, უმჯობესია დიქტოფონის ხმარება, რადგან, როცა მოსწავლემ იცის, რომ მისი პასუხი ფიქსირდება, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება აზრის ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, პირველი შთაბეჭდილება არ იქნება სრულყოფილი, იქნებ მცდარიც კი იყოს, მაგრამ ამ კითხვის დასმა დაგვეხმარება, რომ მოსწავლეს ლექსის მოსმენა და განცდა ვასწავლოთ. შემდეგ დავსვამთ დაახლოებით ასეთ კითხვებს: რატომ მიემართება პოეტი მთაწმინდაზე? ცის რომელი ხატება დააჩნდა გულზე ბარათაშვილს ყველაზე მეტად? სად ეძებს სადგურს პოეტის გულისთქმა? რა განსხვავებას ხედავთ სტროფებს შორის, გარდა მარცვლების რაოდენობისა? (ვგულისხმობთ, რომ მოსწავლეებმა გააკეთონ შემდეგი დასკვნა – თოთხმეტმარცვლიანი სტროფი უფრო ემოციურია, პოეტის განცდების მაჩვენებელი, ოცმარცვლიანი კი – აღწერილობითი) ლექსების განხილვისას სააზროვნო კითხვების დასმაზე აღარ შევჩერდებით, რადგან ასეთი აქტივობები შესანიშნავად აქვთ გათვალისწინებული მოქმედი სახელმძღვანელოების ავტორებს, თუმცა თითოეულმა პედაგოგმა შემოქმედებითად უნდა დაგეგმოს ეს პროცესი. გამოვიყენებთ გამოფენაზე მოთავსებულ კონვერტს – ბარათაშვილის პოეზიის მკვლევარნი და ერთ-ერთ მოსწავლეს წავაკითხებთ ბარათზე ამოწერილ ფრაგმენტს გ. ასათიანის წიგნიდან – „ნ. ბარათაშვილი“ (ნაკადული, 1975 წ., გვ. 183). მოსწავლეები ერთობლივად დაასკვნიან, რომ ბარათაშვილი მათ ასაკში უკვე ჩამოყალიბებული პოეტია, გამორჩეული ხელწერისა, რომ ამ ლექსში უკვე იგრძნობა „ნ. ბარათაშვილის დიდი პოეტური ტალანტის პირველი გამონათება“ (პ. იგნოროყვა, ნ. ბარათაშვილი, გვ. 34).

ამ გაკვეთილის შემდეგი აქტივობა – ჯგუფური მუშაობა ლექსის იდეურ-მხატვრულ ანალიზზე, რაზედაც დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, მაგრამ, ვფიქრობ, აუცილებელია შემდეგის აღნიშვნა – ლექსი მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, როგორც ერთიანი მხატვრული ქმნილება, ამიტომ არ არის სასურველი მისი სტროფებად დანაწევრება. მასწავლებელი კითხვების საშუალებით უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, გამოკვეთონ ძირითადი საკითხები, მოძებნონ შესაბამისი სტროფები, ამოიცნონ, რომელი მხატვრული ხერხი გამოიყენა პოეტმა საკუთარი აზრის გამოსახატავად. რაც შეეხება სალექსიკონო მუშაობას, წინასწარ გვაქვს დაფაზე ან ფორმატზე ფერადი მარკერებით ჩამოწერილი სიტყვები (არქაიზმები) და მათი განმარტებები. მოსწავლეებს დაურიგდებათ წინასწარ შედგენილი სქემა, რომელიც მათ გამოუმუშავებს ლექსის ანალიზზე მუშაობის ზოგად უნარ-ჩვევებს.

## III მონაკვეთი

**განსახილველი თემა** – 1832 წლის შეთქმულება და ნ. ბარათაშვილი (პ. ინგოროყვა, გვ. 36-45);

ლექსები: „ძია გ-სთან“ (1836 წ.), „ხმა იდუმალი“ (1836 წ.).

***დამხმარე ლიტერატურა***

*ა. გელოვანი, „სვეტი ნათლისა“ – „მამულის გამოხსნის შეთქმა“, გვ. 58-70.*

## IV მონაკვეთი

**განსახილველი თემა** – გიმნაზიის კურსის დასრულება (1835-1840 წწ.);

ლექსები: „ფიქრნი მტკვრის პირას“ (ვგულისხმობთ, რომ შესწავლილი და დამუშავებულია წინა კლასებში), „ჩემი ლოცვა“.

წერილები: გრიგოლ და ზაქარია ორბელიანებისადმი და ბარათაშვილისა გრიგოლ ორბელიანისადმი (1837 წ. 02.).

***დამხმარე ლიტერატურა***

*რ. დევდარიანი – ნ. ბარათაშვილის შემოქმედება, 2002 წ., გვ. 17-21, გვ 60-65.*

## V მონაკვეთი

**განსახილველი თემა** – ნ. ბარათაშვილის პირადი ცხოვრება – დელფინა, „წინანდლის ვარდი“, განხეთქილება, ცისიერის ბედი...

ლექსები: „საყურე“ (შექმნის ისტორიითურთ შესწავლილია წინა კლასებში), „არ უკიჟინო სატრფოო“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „თავადის ასულ ეკატერინას“, „ფორტეპიანოზედ მომღერალი“.

***დამხმარე ლიტერატურა***

*ს. ჭილაიას „ეკატერინე ჭავჭავაძე“ (ფრაგმენტები, რომლებიც წინასწარ არის ამოწერილი და მოთავსებული გამოფენაზე, რუბრიკით – „მოკვდავთა ენას არ ძალუძს, უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“;*

*პ. ინგოროყვას მონოგრაფია, გვ. 65-80.*

ამ გაკვეთილზე სასურველია მუსიკის გამოყენება, გამოფენას კი შეემატება ეკატერინე ჭავჭავაძის ცნობილი პორტრეტი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ლექსებისა, მოსწავლეებს ვურჩევთ, გაეცნონ სატრფიალო ლირიკის სხვა შედევრებსაც და, რომლებიც განსაკუთრებით მოეწონებათ, ისწავლონ ზეპირად.

## VI მონაკვეთი

**თემა** – ბიოგრაფიული მონაკვეთი (1841-42 წწ.)

ლექსები: „ვპოვე ტაძარი“, „სული ობოლი“.

***დამხმარე ლიტერატურა***

*რ. დევდარიანი – ნ. ბარათაშვილის შემოქმედება (2002 წ.);*

*წერილები: მაიკო ორბელიანისადმი, 1842 წლის 31.10; გრ. ორბელიანისადმი, 1842 წ. 18.10.*

## VII მონაკვეთი

**განსახილველი მასალა** – ბიოგრაფიული მონაკვეთი (1842-44 წწ.);

ლექსები: „მერანი“, „სულო ბოროტო“.

წერილები: გრ. ორბელიანისადმი, 1842 წ. 02.05. და 1843 წ. 21.08.

როგორც ვხედავთ, შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, ნ. ბარათაშვილის ლექსები განიხილება ქრონოლოგიურად, ბიოგრაფიული ეპიზოდების განხილვის პარალელურად. რაც შეეხება პოემას „ბედი ქართლისა“, რადგან შესწავლილია მე-9 კლასში, გავიმეორებთ პოეტის ეროვნული მსოფლმხედველობის სწორად გარკვევის თვალსაზრისით და მოვახდენთ ტატოს მწარე ამონაკვნესის: „ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა, ვაი, ჩვენო ქართლის ბედო“... კომენტირებას.

**დასკვნითი გაკვეთილი** – ბარათაშვილის ბიოგრაფიის დასრულება, სიცოცხლის უკანასკნელი წლები და სამი საფლავი.

წერილები – მ. ორბელიანისადმი, 1845 წ. 09.02, 1845 წ. 10.08.

***დამხმარე ლიტერატურა***

*თ. შავლაძე – „რად აქვს გულს ეს ჩუმი ნაღველი“ (ესეისტური შტრიხები ნ. ბარათაშვილის პორტრეტისათვის) – „გულანი“, 1994 წ., გონჩაბეგუმთან დაკავშირებული ეპიზოდები.*

შემდეგი აქტივობა – შემოქმედების ძირითადი მოტივების გამოყოფა. დაფაზე ჩამოვწერთ ბარათაშვილის შემოქმედების ძირითად მოტივებს და განსხვავებული მარკერით, ერთობლივი მუშაობის საფუძველზე, მოსწავლეებს მივაწერინებთ შესაბამისი ლექსების სათაურებს. ამავე გაკვეთილზე მოვახდენთ პოეტის შემოქმედების მხატვრულ ანალიზს და მივცემთ მოსწავლეებს თემების ჩამონათვალს სემინარული მუშაობისათვის, რ. დევდარიანის ზემოთ მითითებული წიგნის მიხედვით.

იმ მოსწავლეებს, რომლებმაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს და აქვთ სურვილი, დამატებითი ინფორმაცია მიიღონ პოეტის შემოქმედების შესახებ, მივუთითებთ, გაეცნონ ნ. ბარათაშვილის ხელნაწერებსა და ჩვენამდე არმოღწეულ თხზულებებს (პ. ინგოროყვა, ნ. ბარათაშვილი, გვ. 140-160). ყურადღება გაამახვილონ პოეტის ფსევდონიმებზე, პოემაზე „ივერიელნი“, ლექსზე „ასტრა“. შემაჯამებელ გაკვეთილზე ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ცოდნის დონეს შევამოწმებთ ტესტების საშუალებით.

## რეზიუმე:

ზემოთ შემოთავაზებულ სქემას, ვფიქრობთ, რამდენიმე უპირატესობა აქვს, კერძოდ, ირღვევა ერთგვარი რუტინა, როდესაც თავდაპირველად ხდება ავტორის ცხოვრების გზის გაცნობა, რასაც მოსდევს შემოქმედებითი ნიმუშების გაცნობა ძირითადი მოტივების მიხედვით.

ბიოგრაფიის მონაკვეთებად დაყოფა საშუალებას იძლევა, მოსწავლეები სიღრმისეულად ჩასწვდნენ ბარათაშვილის ცხოვრებას, ავტორისადმი თანაგანცდის გრძნობა გაუღვივდეთ და, რაც მთავარია, უფრო ნათელი გახდება მათთვის ილიას სიტყვების ჭეშმარიტება: „ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა“, ასევე , დარწმუნდებიან, რომ „ბარათაშვილი აზრთა მპყრობელია“ (გ. ლეონიძე).

განხილული მოდელი შეიძლება სხვა შემთხვევაში არც გამოდგეს, ჩვენი აზრით, ასეთი წყობით მხოლოდ ნ. ბარათაშვილის შემოქმედების სწავლებაა პრაქტიკულად გამოცდილი და შედეგიანი.

# „ახალი განათლების“ წიგნის თარო

შემდეგი ტომის ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ
## 30 აპრილამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

**შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!**

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22,
ა/აGE93LB0113314052305000

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „ბაზისბანკი“, ბ/კ CBASGE22,
ა/ა GE46BS0000000030236563,

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22,
ა/ა 123631000

# შემოგვიერთდით ახალი ხელმომწერები



„რა არის რა“
ერთი ტომი – 11 ლარი



„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K